# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 1 ივნისი, 2013 წელი.

№101 (7228)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ყარამან ფაღავა: ყველა მოზარდს უნდა, რომ ცხოვრების ავანსცენაზე ჩინებული როლი შეასრულოს, უნდა ტაში და აღიარება

1 ივნისი ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა

4



## ნაცმოძრაობას სემეკიდანაც აძევებენ

2

## „რეფორმა კულტურით უნდა დაიწყოს“

6





## მიხეილ სააკაშვილის 90 000 კილომეტრი დედამიწის ირგვლივ

3

## პარლამენტის მშენებლობას „ლონდონური ობლიგაციებიც“ შეეწირა

2

## ბრალს სდებენ რუსეთს საერთაშორისო უფლებებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების დარღვევაში

8

## რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

პენსიები გაიზრდება

# „პოლიტიკანობას“ თავი დავანებოთ და საქმე ვაკეთოთ

**სექტემბრიდან პენსიები ისევ გაიზრდება. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში განაცხადა.**



სუფლებისთვის მომგებიანი პოლიტიკურ ნაბიჯი, ბევრი განაწყენებული დარჩება, ბევრი ვერ გაიგებს, თუმცა, გადაწყვეტილება ჯერ არ მიგვიღია — არავისზე ძალადობას არ მივიტანთ, — აღნიშნა ივანიშვილმა.

— გაჩვენებთ, რომ ტერიტორიებს დავიბრუნებთ, — განაცხადა პრემიერმა ერთ-ერთი მაყურებლის შეკითხვის საპასუხოდ, რომელმაც ახალი ხელისუფლება რუსეთთან „რბილი რიტორიკის“ გამო გააკრიტიკა და მოსკოვთან დათმობებში დაადანაშაულა.

— რა დავუთმეთ ჩვენ რუსეთს?! არაფერი გვაქვს დასათმობი და არც არაფრის დათმობას ვაპირებთ. რაც შეეხება რიტორიკას, რა მივიღეთ იმ რიტორიკით, რომელიც წინა ხელისუფლებას ჰქონდა, ხომ ნახეთ?! ახლა ისე აბრუნებენ ყველაფერს, თითქოს ტერიტორიები ჩვენ დავკარგეთ. რადგან რუსეთთან დიპლომატიური საუბარი დავიწყეთ, „ნაციონალური მოძრაობა“ ტეხს ყიჟინას, თითქოს რამეს ვაჩუქებთ. ტერიტორიები უკვე გააჩუქეს მათ და ჩვენ დაბრუნებაზე ვზრუნავთ. გაჩვენებთ, რომ დავიბრუნებთ. ცოტა დაელოდეთ და რამდენიმე წელიწადში ყველაფერს აღვადგენთ, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ამასთან, მან ქვეყანაში სხვა საკითხებზეც, მათ შორის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ მისი ძირითადი საზრუნავი ეკონომიკა და ქარხნებია. „წლის ბოლომდე უნდა მოვახერხოთ და მინიმუმ 60 ქარხანა უნდა გვქონდეს, — აღნიშნა პრემიერმა.

გარდა ამისა, მან განათლების რეფორმის აუცილებლობაზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში ტოტალური პრობლემებია. „განათლების შესახებ რეფორმას ვეტო დაადო პრეზიდენტმა. იმედი მაქვს, ის პარლამენტის მიერ მომავალ კვირას დაიძლევა. რეფორმა შეეხება თქვენს უნივერსიტეტს. ვიცი, რომ ბევრი დაზარალდა, ამას აღვადგენთ“ , — განაცხადა ივანიშვილმა თსუ-ს ერთ-ერთი ყოფილი თანამშრომლის შეკითხვის საპასუხოდ, რომელიც პრემიერისგან დაინტერესდა, შეისწავლის თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ პრობლემებს.

ამასთან, პრემიერ-მინისტრს გადაცემის წამყვანმა „ხუდონჰესის“ მშენებლობასთან დაკავშირებით დაუსვა შეკითხვა, რასთან მიმართებაშიც ივანიშვილმა აღნიშნა, რომ „არც ერთ მოსახლეზე ძალადობა არ მოხდება“.

— პერსპექტივაზე თუ ვფიქრობთ, „პოლიტიკანობას“ თავი დავანებოთ და რაც სჭირდება სახელმწიფოს, ის უნდა გავაკეთოთ. რა თქმა უნდა, ეს არ იქნება ხელი-

ცვლილებები

# ნაცმოძრაობას სემეკიდანაც აძევებენ



**საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიაში ნაცმოძრაობის, კონკრეტულად კი სააკაშვილის ბატონობა მთავრდება. ამიერიდან, კომისიის წევრებს პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს, შესაბამისად, მისი თავმჯდომარეც ივანიშვილის მიერ დანიშნული წევრებიდან შეირჩევა.**

ამჟამად „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს არსებული კანონის მიხედვით, კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის წევრებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ეს უფლებამოსილება პრეზიდენტიდან პრემიერ-მინისტრის ხელში გადადის. პრეზიდენტის ნაცვლად, პრემიერ-მინისტრი დანიშნავს კომისიის წევრთაგან ერთ-ერთს კომისიის თავმჯდომარის პოსტზე. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთავრობა პარლამენტისგან კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას და დამტკიცებას ითხოვს.

ამავე ცვლილებების გათვალისწინებით, კომისიის წევრის დასანიშნად, მისი კომისიის თავმჯდომარის მიერ წარდგინება საჭირო აღარ იქნება, როგორც ამას ჯერ კიდევ მოქმედი საკანონმდებლო ნორმა ითვალისწინებს.

უმცირესობის წევრები საეჭვოდ მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრებსა და კომისიის თავმჯდომარის თანამდებობებზე დანიშვნა-განთავისუფლების უფლება პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში გადადის. ლევან ბეჟაშვილის თქმით, თუ მათ სურთ, მარეგულირებელი კომისია იყოს დამოუკიდებელი, მაშინ კომისიის წევრები უნდა დაინიშნოს სრულიად ნეიტრალური ფიგურის მიერ.

„საეჭვოა, როცა პრემიერ-მინისტრი დანიშნავს კომისიის თავმჯდომარესა და კომისიის სხვა წევრებს, ზეგავლენა არ მოხდეს მარეგულირებელ კომისიაზე. თუ ჩვენ გვსურს, მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელი იყოს, მაშინ ის არ უნდა დანიშნოს არც პრემიერ-მინიტრმა და არც პრეზიდენტმა. ის უნდა დანიშნოს სრულიად ნეიტრალურმა ფიგურამ და მასზე არანაირი ზეგავლენის მოხდენა არ უნდა შეეძლოს მთავრობის რომელიმე წარმომადგენელს, — განაცხადა ლევან ბეჟაშვილმა.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ილია ელოშვილი კი კარგ ინიციატივას უწოდებს „ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს.

„მანამდე ნიშნავდა პრეზიდენტი, მაგრამ ახალი ხედვებიდან, უფლება-მოვალეობებიდან გამომდინარე, რომელიც ექნება პრემიერს და პრეზიდენტს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, აბსოლუტურად ლოგიკურია, რომ ამ წევრებს ნიშნავს პრემიერ-მინისტრი. ჩვენ სემეკის წევრებს ვერ ავირჩევთ საერთო-სახალხო არჩევნებით, ვერ ავირჩევთ პარლამენტიდან და პარლამენტის დახმარებით, ერთადერთი გზა არის რომ დავნიშნოთ“, — განაცხადა ელოშვილმა “„ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას.

მისივე თქმით, სემეკის თითქმის ყველა წევრს ვადა აგვისტოში გასდის და ეს საკითხი დღის წესრიგში თავისთავად დადგებოდა. მინისტრის მოადგილის თქმით, აქ ყველაფერი გაწერილია, შეთანხმებულია საერთაშორისო ორგანიზაციებთან. „მოგეხსენებათ, პრეზიდენტის უფლებები იკვეცება, შესაბამისად, მათ დანიშნავს პრემიერი, შესაკრებთა გადანაცვლებით ჯამი არ იცვლება“, — დასძინა ელოშვილმა.

ენერგეტიკის ყოფილი მინისტრი დავით მირცხულავა დაგეგმილ ცვლილებებს მართებულ გადაწყვეტილებას უწოდებს. როგორც ჟურნალისტებს დავით მირცხულავამ განუცხადა, ცვლილებები, რომლის მიხედვითაც სემეკის წევრებს პრემიერი დანიშნავს, სწორია, რადგან სემეკში უნდა მოხდეს რეორგანიზაცია.

„ამ წლების განმავლობაში სემეკს აბსოლუტურად დაკარგული ჰქონდა დამოუკიდებლობა. ამ გადაწყვეტილებებით ამ უწყებას ყველანაირი პირობა შეექმნება, რომ რეალური დამოუკიდებლობა მოიპოვოს.

რეალურად დღეს სემეკი დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს ვერ იღებს. არ ვიცი, რასთან არის ეს დაკავშირებული. თუ ჩვენ გვინდა, ამ დარგში მივიღოთ პროცესი, რეორგანიზაციაა საჭირო და ის, რომ პრემიერის ხელში გადადის სემეკის ხელმძღვანელობის დანიშვნა, ეს წარმატებული ნაბიჯი იქნება“, — განაცხადა მირცხულავამ.

მისივე აზრით, ამ კომისიის წევრები ისეთი კადრებით უნდა იყოს დაკომპლექტებული, რომლებიც წინ გაიხედავენ, პერსპექტივაზე იმუშავებენ და არა როგორც დღეს ნოტარიუსებივით აღწერენ.

**ეკა ბაქრაძე**

რეიტინგი

# ვინ მიაჩნია მომავალ პრეზიდენტად ქართველ ხალხს?

**სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის გამოკითხვის მიხედვით, შეკითხვაზე „რომელი ძალის მიერ წარმოდგენილ კანდიდატს დაუჭერდით მხარს 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში?“, პასუხები ასე გადანაწილდა:** კოალიცია „ქართული ოცნების“კანდიდატი — **55,1%,** „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატი — **11,1%,** სამოქალაქო საზოგადოების მიერ წარმოდგენილი დამოუკიდებელი კანდიდატი — **7,9%,** სხვა პოლიტიკური ძალის მიერ წარმოდგენილი კანდიდატი — **1,6%,** მიჭირს პასუხის გაცემა — **14,7%,** დანარჩენმა **9,6%-მა** კი შეკითხვაზე უარი განაცხადა.

აღსანიშნავია, რომ სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის ხელმძღვანელის იაგო კაჭკაჭიშვილის განცხადებით, აღნიშნული მონაცემები უშუალოდ გიორგი მარგველაშვილის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატთან მიმართებაში მოსახლეობის განწყობას არ ასახავს, ვინაიდან კვლევის ჩატარების პერიოდში კანდიდატად დასახელებული არ ყოფილა.

აღსანიშნავია, რომ კვლევა აღნიშნულმა ორგანიზაციამ 24 აპრილიდან 4 მაისის პერიოდში ჩაატარა. მის ფარგლებში 2004 რესპონდენტი შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გამოიკითხა.

**ინტერპრესი**

ფეისბუქიდან

# წერტილოვანი ფრაზები

● ლგბტ-ზე და დამნაშავეების დაჭერებზე თავი გაიგიჟა ევროპამ, სად არიან ახლა, როცა რუსი ოკუპანტები, ყოველგვარ შეთანხმებას უარყოფენ და უტიფრად აგრძელებენ ქვეყნის ტერორს!

● აბა, ბიჭებო, განმარტეთ რა ხდება, ეს ებრალიძე ასე ადგა და წავიდა? ველი დასაბუთებულ არგუმენტებს კომპეტენტურო მთავრობა, რა ხდება, მოგეძალათ პრობლემები, კაი არაა კოაბიტაცია? მე ჭიპხახუნი ვიცი ვალსის დროს და სექსი კიდე იმასთან, ვინც გევასება. ეგრეა — გადაეყარეთ ამ 5-ლარიან პუტანკებს და ა ბატონო შედეგი...

● რაღაც უცნაურ პოსტებს ვაწყდები, რა ხდება? ომი იწყება? რა დეპრესიული წინადადებების რახარუხი აგიტყდათ? მავთულხლართებზეა ასეთი პანიკა? და ვერ ხვდებით ვის გეგმებშია არეულობა? არ იცით რა ჭორები დადიოდა, რომ მიშა ჯერ კიდევ ამ შემოდგომაზე აპირებდა სიტუაციის არევას? დასპაკოინდით რაააააა.

● რა მაგრად ზრუნავს მთავრობა ჩემზეე, იცის, რომ მალე ამდენ სიგარეტს ვერ მოვწევ როგორც ახლა და აძვირებს:) ალიოოოოო, მეტი საქმე არ გაქვთ მანდ, ზემოთ? ხორცი გააიაფეთ მაგ მაიმუნობას, ბარამიძეს დაბრალდა მაშინ და ჩოჩელს, ერთი მოშორებულია და მეორე კი ზის თუ დგას არ ვიცი მოკეტილში. ბჯოს!

● პეტუხების გასალახად მილიონიანი მარში მოვაწყვეთ ქართველებმა და რუსები რო საზღვარს გადმოვიდნენ, თხუთმეტი კაცი ვერ მოვგროვდიით? მალადეც თქვენ... მალადეც...




● მაღალოოო!!! შენ არ ხარ საერთაშორისო არენაზე საქართველოს გარანტიი?... მიდი მერე და გაუკეთე მობილიზება საერთაშორისო საზოგადოებას დიცის ამბებთან დაკავშირებით, თუ ჩიორას ცხვირი და ვანოიე გაღლეტილის უკანალი უფრო პრიორიტეტია შენთვის.. ის ევროდეპუტატები ამათზე რო ლავლავებენ ერთი კვირაა, საქართველოს გულისთვის ააყვირე... თუ ეს არაა შენი პრეროგატივა?

● კახელი კი ვარ, მაგრამ, ამ ფირუზამ და ფირუზას ვერ თუ არგამოცვლილმა თეფშმა ტვინი წაიღო...

● ვაიმეეეეეეე წყალი :))))))))))))))))))))))))) უმცირესი ჩიორა თაქთაქიშვილი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ზეწოლაზე საუბრობს :)) ფრინველო, შენ ტახტზე წოლაზე გვესაუბრე და საზმაუზე ზეწოლას ხალხი მიხედავს....:))ფრიიი))

● რუსებს ავტომატები აქვთ და ისვრიან, პედერასტებს — არა.

ქართველებო, წამოდით პედერასტებს დავცხოთ.

● გაოცებული ვარ, რომ 40 კაცის მიერ შექმნილი „საფრთხის“ დასაძლევად 20 000 ადამიანი გამოვიდა და ტერიტორიის დასაცავად — მხოლოდ რამდენიმე ათეული.

● ძველი ზღაპრები ასე უნდა მთავრდებოდეს: და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად... ვიდრე არ გამოიგონეს კომპიუტერი :))

**ამოკრიბა**
**გია გაბრიჭიძე**

ალიან-ჩალიანი

# პარლამენტის მშენებლობას „ლონდონური ობლიგაციების“ შეეწირა

**ქუთაისში პარლამენტის შენობის მშენებლობასთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა მზად არის. ლაშა თორდიას უწყების მიერ მომზადებული დოკუმენტი პარლამენტში გადაიგზავნა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ქუთაისში, პარლამენტის სასახლის მშენებლობისთვის სახსრების მოპოვების, ხარჯების მიზნობრიობისა და კანონიერების აუდიტი განახორციელა.**

**დოკუმენტში ნათქვამია, რომ ქუთაისში, პარლამენტის სასახლის მშენებლობა გახორციელებულია ნებართვის გარეშე. ასევე, არ ჩატარებულა V კლასის შენობა-ნაგებობისთვის განსაზღვრული სავალდებულო საექსპერტო შეფასება შემდეგი მიმართულებით: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება; ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასება; დოკუმენტების პროექტების ტექნოლოგიური ნაწილების საექსპერტო შეფასება.**

**აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, პარლამენტის მშენებლობის სამუშაოების დასაფინანსებლად მთავრობის განკარგულებებიდან გაწეულმა ხარჯმა 73 757 930 ლარი შეადგინა. შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ კაპიტალის გაზრდის მიზნით, სარეზერვო ფონდიდან 209 720 ლარი გამოეყო. გარდა ამისა, აღებულია სესხი „ნავთობისა და გაზის კორპორაციიდან“ -15 000 000 აშშ დოლარის და 13 500 000 აშშ დოლარის ოდენობით — წლიური 11%-იანი განაკვეთით. კორპორაციამ აღნიშნული სესხი გასცა 2012 წლი 16 მაისს ლონდონის საფონდო ბირჟაზე გამოშვებული 250 00 000 აშშ დოლარის ღირებულების ობლიგაციებით მოზიდული სახსრებიდან.**

**„სახელმწიფო მომსახურების ბიურომ“ ფინანსთა სამინისტროსგან მიიღო 17 697 109 ლარის სესხი — წლიური 2%-იანი განაკვეთით. პარლამენტის შენობის მშენებლობისთვის დაიხარჯა სახელმწიფოს მიერ ქონების რეალიზაციიდან შემოსული სახსრებიც.**

**დოკუმენტის მიხედვით, ქუთაისის მერიისა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ქუთაისში პარლამენტის სასახლის მშენებლობის საპროექტო და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაცია, რის გამოც ვერ მოხერხდა ფაქტობრივად გაწეული ხარჯების პროექტით გათვალისწინებულ ხარჯებთან შედარება.**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# აფრინდა ქორი, აფრინდა...

**35 დღეში სააკაშვილმა, ყველაზე უხეში გათვლებით, 90 000 კილომეტრი იფრინა. ამის შესახებ სტატიას „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქცია აქვეყნებს. გამოცემის ინფორმაციით, ბოლო 35 დღეში სააკაშვილმა სამი კონტინენტი მოიარა. აქედან, ჩრდილოეთ ამერიკა და აზია - ორ-ორჯერ.**

ალბათ, ტრანსატლანტიკურ სივრცეში ასეთი სიხშირით ჟიულ ვერნიც არ მოგზაურობდა, როცა ემზადებოდა ცნობილი რომანის „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“ დასაწერად და საკუთარი შემოსავლით ნაყიდი იახტებით მიაპობდა ბალტიის, ნორვეგიის თუ ხმელთაშუა ზღვის ტალღებს.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს, მან თვითონვე მოუძებნა ახსნა, თუ რატომ დაფრინავს ამდენს და რატომ არ უნდა ბრაზობდეს ამაზე პრემიერი ივანიშვილი:

„პრემიერ-მინისტრი იმაზე კი არ უნდა ნერვიულობდეს, პრეზიდენტი რატომ დადისო. უფრო იმაზე უნდა ინერვიულოს, თვითონ რატომ არ და ვერ დადის. მოდით, იმანაც არ იაროს, რახან ჩვენ ვერ დავდივართო... მივმართავ საქართველოს პრემიერ-მინისტრს. ნუ გეშლებათ ნერვები იმაზე, რომ მე დავდივარ... მე პრეზიდენტი როცა არ ვიქნები, მაინც მიმიწვევენ... მაგრამ მოდი ახლა თქვენ თავს მიხედეთ“, — ასეთი კატეგორიული იყო სააკაშვილი.

ამასთან, იგი ირწმუნება, რომ მისი ვიზიტები დიდწილად დროებით დაკარგული ქართული რეგიონების არაღიარების პოლიტიკას ემსახურება.

პრეზიდენტის ფრენასთან დაკავშირებით, „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციას საინტერესო შედარება მოჰყავს. კერძოდ, მეზობელი აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, რომელსაც არანაკლებ აწუხებს ოკუპაციის პრობლემა, 2013 წელს ოფიციალური ვიზიტით სულ ოთხ ევროპულ ქვეყანაში (იანვარი — შვეიცარია; მარტი — ხორვატია, მონტენეგრო; მაისი — ავსტრია) იმყოფებოდა.

რატომ მოგზაურობს ასე ხშირად საქართველოს პრეზიდენტი და ემსახურება თუ არა ეს ვიზიტები არაღიარების პოლიტიკას? მით უფრო, რომ ცნობილია, 19 მაისს, ნიუ- იორკიდან სააკაშვილმა გეზი პირდაპირ ტაილანდისკენ აიღო, ჯერ 11 000 კილომეტრი იფრინა დუბაიმდე, იქიდან კიდევ 4550 კმ ქალაქ ჩან მაიმდე, რომელიც წყლის რესურსების აზია-წყნარი ოკეანის რიგით მეორე სამიტს მასპინძლობდა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ პრეზიდენტის ოფიციალურ ინტერნეტ-გვერდზე საერთოდ არ არის მითითებული, რომ ეს სამიტი სწორედ წყლის პრობლემებს ეძღვნებოდა. ის კი ცნობილია, რომ სააკაშვილი ამ რეგიონის რამდენიმე ქვეყნის პრეზიდენტსა და პრემიერს შეხვდა და, თუ მას ვერწმუნებით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების არაღიარების პოლიტიკაზე ესაუბრა.

საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ბერძენიშვილი აცხადებს, რომ უფრო გამართლებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ სააკაშვილმა 90 ათასი კილომეტრი კი არა, 90 ათასი მილი იფრინა, რაც კიდევ უფრო მეტია, რადგან უცხოელები მანძილს მილით ითვლიან.

ლევან ბერძენიშვილის თქმით, თავის დროზე, როდესაც საფრანგეთში პრეზიდენტ მიტერანსა და პრემიერ-მინისტრ ჟაკ შირაქს შორის კოაბიტაცია პირველად შედგა, დაუწერელი კანონის მიხედვით, საგარეო პოლიტიკაში წავიდა პრეზიდენტი და საშინაო პოლიტიკა დაუთმო პრემიერ-მინისტრს. თუმცა, ისინი ფრანგები იყვნენ და მეორე დღესვე გაერკვნენ სიტუაციაში. ჩვენთან კი, სახლში არაფერი ესაქმება სააკაშვილს და ამაში გასარკვევად მას გარკვეული დრო, ექვსი თვე მაინც დასჭირდა.

**„როგორც ჩანს, სააკაშვილმა თქვა, მე არავინ არაფერს მეკითხება, არავინ არ ვარ საქართველოშიო და ამიტომ თვითონვე მიიღო გადაწყვეტილება, რომ უცხოეთში წავიდეს. თუმცა, რომელ არაღიარების პოლიტიკაზე უნდა ელაპარაკა, მაგალითად, კამბოჯაში?! რა თქმა უნდა, არასერიოზულობაა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი დაიხარჯა ვანუატუს საკითხზე. მით უმეტეს, ჯერჯერობით ვანუატუში არაფერი შეცვლილა და სააკაშვილის სიტყვების გარდა, არანაირი ცნობა არ გვაქვს, რომ სადმე არაღიარებაზე მან რაიმე წარმატებას მიაღწია“,** — გვითხრა ლევან ბერძენიშვილმა.

ექსპერტი და ყოფილი პოლიტპატიმარი ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ სააკაშვილი კარგად ხვდება, ოქტომბრიდან თანამდებობიდან წასვლა მოუწევს. ამიტომ ბოროტად იყენებს თანამდებობას და საკუთარ სურვილებს იკმაყოფილებს, დადის ეგზოტიკურ ქვეყნებში ტურისტად. რაც შეეხება თითქოს იგი არაღიარების პოლიტიკისთვის ზრუნავს, ეს სრული ანაქრონიზმია და პრეზიდენტის ჩასვლით ეს პოლიტიკა არ შეიცვლება. ვისაც არ უნდა, აღიაროს აფხაზეთი და ცხინვალი, არც აღიარებს. პირიქით, ასეთმა პოლიტიკამ შეიძლება საპირისპირო შედეგი გამოიღოს.

**„მსოფლიო დიპლომატიის ისტორიაში არსებობს მაგალითები, როცა ერთი ქმედების საფუძველზე საპირისპირო ქმედუნარიანობა მომხდარა. თავის დროზე, ჰესი გადაფრინდა ბრიტანეთში და მოლაპარაკებას აწარმოებდა, რათა ბრიტანეთის ხელისუფლება ჰიტლერთან ერთობლივი მოკავშირეობისთვის ეიძულებინა. მის ჩასვლას შედეგად მოჰყვა, რომ იგი დააპატიმრეს, ამის შემდეგ დაიძაბა სიტუაცია გერმანიასა და ბრიტანეთს შორის კიდევ უფრო. ამიტომ, როცა ასეთი მაღალი დონის პიროვნება ჩადის სხვა ქვეყანაში და ეუბნება, არ აღიაროო, ეს ფაქტობრივად, პოლიტიკური ზეწოლის, შანტაჟის ფორმაა. ასეთმა „ჩარტერულმა დიპლომატიამ“ შეიძლება კონტრპროდუქტიულად იმუშაოს“,** — აცხადებს ვახტანგ მაისაია.




მისი თქმით, ასეთი ექსტრაორდინარული, ეგზოტიკური პიროვნება უგო ჩავესი იყო, რომელიც დარბოდა სხვადასხვა ქვეყანაში, მაგრამ სააკაშვილისგან განსხვავებით, საკუთარი რეჟიმისთვის საინტერესო წინადადებები ჩამოჰქონდა და რეალურ პროდუქტს ქმნიდა. მაგალითად, ერთი ჩასვლით მან 3 მილიონი დოლარის კრედიტი წაიღო სამშობლოში. თუმცა, სააკაშვილი რომ ჩავიდა ტუალუში, ეკვადორსა და ჰაიტიში, არაფერი არ ჩამოუტანია, მათ შორის, არც — საინვესტიციო პროგრამები.

ამასთან, ვახტანგ მაისაია აცხადებს, რომ სამოქალაქო მფრინავის მომზადება დაახლოებით 50-დან 100 ათას დოლარამდე ჯდება. მფრინავების ხელფასი ყველაზე მაღალია, ამას ემატება იჯარის თანხა, საზღვრის გადაკვეთის თანხა, ფეშენებლურ სასტუმროში დაბინავება. ასე რომ, სააკაშვილის მიერ დახარჯული მთლიანი თანხა, ალბათ, რამდენიმე მილიონ დოლარს აღემატება.

პოლიტოლოგი და დიპლომატი ზურაბ ჩიკვილაძე აცხადებს, რომ 1 ოქტომბრის შემდეგ სააკაშვილი საერთოდ გავიდა ზომიერების სფეროდან და მისი ვიზიტები არ არის შეთანხმებული საგარეო საქმეთა სამინისტროსა თუ სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან. ამიტომ პოლიტოლოგს უჭირს იმის თქმა, რას აკეთებს და რისთვის დაფრინავს სააკაშვილი. თუმცა, ეჭვობს, რომ სააკაშვილის ვოიაჟები სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდეს.

მიხეილ სააკაშვილის ქმედებაში, რასაც ჩვენ ბოლო ნახევარი წლის განმავლობაში ვაკვირდებით, ბევრი არაორდინარული საქციელი შეინიშნება. აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგაც არაორდინარულად ისაუბრა, ბიძინა ივანიშვილის სომხეთიდან დაბრუნების შემდეგაც საოცარი განცხადებები გააკეთა. ასევე, გააკეთა განცხადებები ბანკების გასხვისებასთან დაკავშირებით, არადა ხუთ წუთში დადასტურდა, რომ ტყუილი იყო. ძალიან ბევრ სიცრუეს ამბობს, ამიტომ ცოტა მოთმინება მართებს ქართულ საზოგადოებას და ეს ყველაფერი, ალბათ, დამთავრდება, ხალხიც დამშვიდდება, როცა საქართველოს ახალი პრეზიდენტი ეყოლება. მისი პიროვნებიდან გამომდინარე, ეჭვს ბადებს, რომ ის არაღიარების შესახებ საუბრობს. ვინც კარგად ერკვევა მის პიროვნებაში, რთულია ისაუბრო მის დადებით ქმედებაზე“, — აცხადებს ზურაბ ჩიკვილაძე.

დასასრულ, გთავაზობთ იმ ქვეყნების ჩამონათვალს, სადაც პრეზიდენტმა ბოლო 35 დღის განმავლობაში იმოგზაურა.

მიმოხილვა 24 აპრილიდან იწყება. ამ დღეს მიხეილ სააკაშვილმა **10 900 კილომეტრი იფრინა, რომ თბილისიდან დალასამდე ჩაეღწია.** ტეხასში მას ძველი მეგობრები ჯორჯ და ლორა ბუშები ელოდნენ.

**ტეხასიდან სააკაშვილმა არიზონამდე კიდევ 1400 კმ იფრინა.** სედონაში მას კიდევ ერთმა ძველმა მეგობარმა, სენატორმა ჯონ მაკკეინმა უმასპინძლა. აქ, სააკაშვილი აშშ-ის ვიცე პრეზიდენტ ჯო ბაიდენსაც შეხვდა.

**შემდეგი გაჩერება უკვე 3400 კილომეტრით მოშორებული ნიუ-იორკი იყო.** 29 აპრილს, პრეზიდენტი ნიუ-იორკელ ქართველებს და ქართველ ებრაელებს შეხვდა.

უკვე 1 მაისს, სააკაშვილმა 400 კმ გაიარა და ვაშინგტონში, ამერიკის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის ესტუმრა. შემდეგ, კიდევ 70 კმ იფრინა და მერილენდის შტატში ქალაქ ბალტიმორში, სენატორ ბენჯამინ კარდინს ეწვია.

**კიდევ, 60 კმ და პრეზიდენტმა ბეთესდაში, ავღანეთში დაჭრილი ქართველი მეომრები მოინახულა.** 2 მაისს, სააკაშვილი უკვე ვაშინგტონში, ატლანტიკური საბჭოს ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიალს დაესწრო.

სააკაშვილს ამ ვიზიტის დროს ახლდნენ მეუღლე სანდრა რულოვსი, ასევე დეპუტატები: ნაყოფია, თაქთაქიშვილი, კანდელაკი, წერეთელი, ნადირაშვილი, ვაშაძე, ღვინიაშვილი, საყვარელიძე, ადმინისტრაციის ახალი უფროსი ბარნოვი და მრჩეველი რაფაელ გლუკსმანი.

**უკან, ვაშინგტონიდან თბილისამდე სააკაშვილმა 9300 კმ იფრინა** და 4 მაისს, აღდგომის დღესასწაული საქართველოს ყვარლიდან მოულოცა.

**უკვე 7 მაისს, სააკაშვილმა 580 კმ ბაქოსკენ იფრინა** და აზერბაიჯანის პრეზიდენტ ალიევს შეხვდა. მეორე დღეს, იქვე სამხრეთ კავკასიის ფორუმზე სიტყვით გამოვიდა და უკან გამოფრინდა. (თებერვლის ბოლოს სააკაშვილი უკვე იმყოფებოდა ოფიციალური ვიზიტით აზერბაიჯანში)

**13 მაისს, პრეზიდენტი კიდევ ერთხელ გაუყვა შორეული ამერიკის გზას. ისევ 9300 კმ ვაშინგტონამდე,** სადაც მას სენატორი მარკო რუბიო ელოდა. სააკაშვილს ამჯერად დეპუტატები: მინაშვილი, ნიკოლაიშვილი, საჯაია და ბოკუჩავა ახლდნენ. **16 მაისს, სააკაშვილმა 250 კმ გაიარა და ტრენტონში, ნიუ-ჯერსის შტატის გუბერნატორს კრის კრისტის შეხვდა.**

**კიდევ 75 კმ გზა იყო უიტნი ჰიუსტონის მშობლიურ ქალაქ ნევარკამდე.** პრეზიდენტის ოფიციალურ ინტერნეტ გვერდზე მოყვანილია ნევარკის მერის კორი ბუკერის სიტყვები, სადაც ბუკერი თითქოს აღფრთოვანებული დარჩა იმ არქიტექტურული სიახლეებით და ინფრასტრუქტურული პროექტებით, რომელიც საქართველოში მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში განხორციელდა.

ამ ყველაფრის გრანდიოზული ფინალი იყო 17 მაისის საღამო, ნიუ-იორკში, ვესტსაიდზე. გლობალურმა არქიტეტორულმა ქსელმა საქართველოს პრეზიდენტს პრესტიჟული პრიზი გადასცა, როგორც საქართველოს მთავარ არქიტექტორს.

მეორე ვიზიტი შეერთებულ შტატებში დასრულდა მანჰეტენზე, ქართულ რესტორანში, სააკაშვილისა და ბილ ქლინტონის სადილით. მიხეილ სააკაშვილმა ქლინტონი წმინდა გიორგის გამარჯვების ორდენით დააჯილდოვა და ქართულ სამზარეულოზე ისაუბრა.

**„როგორც ჩანს ამერიკის პრეზიდენტებს მოწონთ ქართული საკვები. მახსოვს, ბუში გადაირია თბილისში არცთუ ისე საუკეთესო რესტორნით და საჭმლით. ნუ, არა უშავდა, მაგრამ უკეთესიც შეიძლებოდა. აქაც, ქლინტონი ძალიან დიდი შთაბეჭდილების ქვეშ იყო“,** — აცხადებდა სააკაშვილი.

**19 მაისს, ნიუ-იორკიდან სააკაშვილმა გეზი პირდაპირ ტაილანდისკენ აიღო. 11 000 კილომეტრი იფრინა დუბაიმდე. იქედან — კიდევ 4550 კმ ქალაქ ჩან მაიმდე.**

ცნობისთვის, სააკაშვილი ტაილანდში ბოლოს 2012 წლის მარტში იმყოფებოდა და კუნძულ ფხუკეთზე, ბიუჯეტის ხარჯზე ორი დღე დაისვენა. ამ ინფორმაციას პრეზიდენტის ადმინისტრაცია ერთი წლის განმავლობაში კატეგორიულად უარყოფდა. არადა, სააკაშვილის, ბაქრაძის, ვარშალომიძის, გლუკსმანის და მათი ოჯახის წევრების დასვენება ბიუჯეტს 85 000 ლარი დაუჯდა.

პრეზიდენტი საქართველოში 21 მაისს დაბრუნდა და **24 მაისს უკვე ეკვადორში გაემგზავრა.** ეკვადორელ კოლეგა რაფაელ კორეას რიგით მესამე ინაუგურაციაზე. **თბილისიდან კიტომდე სააკაშვილმა საშუალოდ 13 000 კმ იფრინა.**

26 მაისს უკვე ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაშია. სააკაშვილმა 15 000 კმ იფრინა კიტოდან ქაბულამდე. შემდეგ კიდევ 500 კმ, ამერიკელების სამხედრო ბაზა Camp Leatherneck-მდე.

ავღანეთში, პრეზიდენტს თან ახლდა უფროსი ვაჟი ედუარდი და საყვარელი მომღერალი სოფო ნიჟარაძე. ასევე დეპუტატები: ბარამიძე, ჯაფარიძე, მელაძე; ადმინისტრაციის უფროსი ბარნოვი და სამეგრელოს გუბერნატორი გუნავა. თბილისში პრეზიდენტი 27 მაისს დაბრუნდა.

საბოლოო ჯამში, ბოლო 35 დღეში სააკაშვილმა სამი კონტინენტი მოიარა. ასეთია „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის ინფორმაცია.

**მარიამ ლოლაშვილი**

## ალიან-ჩალიანი

### გაანადგურებენ პირადი ცხოვრების ამსახველ არქივს?

**პირადი ცხოვრების ამსახველი არქივის განადგურებამდე, შესაძლოა, ამნისტია გამოცხადდეს, რომლითაც იმ პირებს, ვისაც უკანონო არქივი ხელთ აქვთ, მიეცემათ გამოძიებისთვის წარდგენის საშუალება, რითაც პასუხისმგებლობიდან გათავისუფლდებიან, — ამის შესახებ ჟურნალისტებს პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიამ განუცხადა.**

**მისივე თქმით, ამნისტიას მიეცემა სამართლებრივი მხარე, რათა მას ჰქონდეს იურიდიული ფორმა და ხალხი დარწმუნდეს პირადი არქივის სრულად განადგურებაში.**

**კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ყბადაღებული არქივის განადგურება არის კანონის მოთხოვნა და ის სახალხო დამცველის ოფისთან უფლებადამცველების მეთვალყურეობით განადგურდება. მისივე განცხადებით, სასურველია პროცედურები წინასწარ იყოს გაცხადებული.**

ინტერპრესი



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

***ყველაზე მომგებიანი ინვესტიცია ის არის, რაც მოზარდი თაობის ჯანმრთელობის, განვითარებისა და განათლების გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. 1 ივნისი – ბავშვთა დაცვის დღე შესანიშნავი საბაბია, რათა საზოგადოების ყურადღება მოზარდი თაობის პრობლემატიკაზე გავამახვილოთ.***

***ჩვენ ვესაუბრეთ ცნობილ პედიატრს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორს ყარამან ფაღავას, თუ რა უნდა გაკეთდეს ბავშვთა და მოზარდთა ჯანდაცვის გაუმჯობესებისთვის:***



# ყარამან ფაღავა: ყველა მოზარდს უნდა, რომ ცხოვრების ავანსცენაზე ჩინებული როლი შეასრულოს, უნდა ტაში და აღიარება

## რა არის პედიატრიის, პედაგოგიკისა თუ საზოგადოების მთავარი ამოცანა?

– უპრიანი იქნებოდა „ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების" მდგომარეობის შესახებ მომზადდეს კრებული, რომელშიც ასახული იქნება უკანასკნელი 10-12 წლის განმავლობაში ყველა ეპიდემიოლოგიური კვლევის შედეგები და ხელთ არსებული სტატისტიკური მონაცემები. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება საექსპერტო მოსაზრებების მოყვანაც. ასეთი შეფასება გარკვეული პერიოდულობით უნდა მეორდებოდეს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ევროპული სტრატეგიის" შესაბამისი დოკუმენტების მიხედვით.

**– თქვენს ხელთ არსებული სტატისტიკა როგორია? თითქოს გაიზარდა ბავშვთა სიკვდილიანობა?**

– პრესაში გახმიანდა ინფორმაცია ბავშვთა ადრეულ სიკვდილიანობის მაჩვენებლის მცირედით მომატების შესახებ. არ მიმაჩნია, რომ ამ მხრივ მდგომარეობა საგანგაშო იყოს. არ არის გამორიცხული, რომ რეგისტრაციის გაუმჯობესებამაც შეასრულა თავისი როლი. თუმცა, თუნდაც ოდნავი მომატების შემთხვევასაც მიზეზების კვლევა სჭირდება. ვფიქრობ, ლომის წილი ამ უარყოფით ტენდენციაში თანდაყოლილ ინფექციებზე, გარემოს მავნე ფაქტორებსა და მშობლების მავნე ჩვევებზე მოდის. საერთოდ, თუ გვინდა რომ ბავშვი ჯანსაღი დაიბადოს, მშობლების ჯანმრთელობაზე უნდა ვიზრუნოთ და ეს ზრუნვა თავის სათავეს ჯერ კიდევ მოზარდობის ასაკში უნდა პოულობდეს. საჭიროა მშობლების განათლება, ოჯახის დაგეგმვის წარმართვა, ჩასახვამდელი პროფილაქტიკა.

აქვე ვიტყოდი, რომ მრავალ ქვეყანაში ბავშვთა დაცვის დღის აღნიშვნისას, განსაკუთრებულ ყურადღებას არდაბადებული ბავშვების უფლებებს აქცევენ.

**– აქ იგულისხმება, ალბათ, აბორტი, არა? როგორია თქვენი აზრი აბორტის აკრძალვასთან დაკავშირებით?**

– უდავოა, რომ აბორტი უზნეობაა. ვერ წარმომიდგენია სულიერების, რწმენის პრეტენზია ჰქონდეს ადამიანს და აბორტის წინააღმდეგ არ გამოდიოდეს.

**– სანამ კონკრეტულად ბავშვთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე ვისაუბრებთ, ზოგადად მიმოვიხილოთ ის უფლებები, რაც პატარებს აქვთ.**

– ბავშვთა და მოზარდთა თვითრეალიზაციისთვის საჭიროა მათი დაცვა ემოციური, ფიზიკური, სექსუალური ძალადობისგან, გარემოს მავნე ფაქტორებისგან, უგულებელყოფა-უყურადღებობისგან. ცხადია, მნიშვნელოვანია დაავადების თავიდან აცილება, ხოლო მათი განვითარების შემთხვევაში – სრულყოფილი მკურნალობა. სექსუალურ ძალადობაზე არ ვისაუბრებ, რადგან ყველასთვის გასაგები და ნათელია, რა მოვლენასთან გვაქვს საქმე. რაც შეეხება ფიზიკურ ძალადობას, მე ვემხრობი იმ ავტორთა აზრს, რომ მას სხვა მხრივ ხელმოცარული ადამიანი ანხორციელებს. მაგალითად, თუ მშობლებს პრობლემები აქვთ და მათ ვერ სწყვეტენ, ბავშვებზე იყრიან ჯავრს, აგრესიას შვილებზე ავლენენ.

მიუღებელია ემოციური ძალადობა, ბავშვის შეურაცხყოფა, თავმოყვარეობის შელახვა. განსაკუთრებით როცა მას საჯაროდ კიცხავენ. ამაში მშობლებიც ცოდავენ და პედაგოგებიც. ამერიკაში მასწავლებელი მოწაფეს საჯაროდ არ აფასებს, აკრიტიკებს მოწმეების გარეშე და ამასაც დიდი სიფრთხილით აკეთებს.

არ დამავიწყდება, დედამ გასასინჯად ორი ვაჟი მომიყვანა. თან მიყვება, უფროსი მშიშარაა, მეორე კი ვაჟკაციაო. თავი ვერ შევიკავე საყვედურისგან, როგორ შეიძლება, ქალბატონო, შვილის ასეთი დამცირება-მეთქი? თანაც ეს დამცირება უახლოესი ადამიანისაგან, დედისაგან რომ მოდის.

როცა გენდერულ უთანასწორობაზე დაიწყო ლაპარაკი, საქართველოსთვის მე ეს აბსოლუტურად არააქტუალურად მიმაჩნდა. უძველესი დროიდან მოდის „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია". მერე, რომ დავუკვირდი, არც ასე ყოფილა საქმე. სრული პასუხიმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ოჯახში ხშირად გოგონა იჩაგრება (განათლება იქნება თუ კვება). გასაოცარია, მაგრამ უსამართლობას დედები უფრო ხშირად ავლენენ. ძველი ამბავია, მაგრამ არ მავიწყდება: დედას ტყუპი ქალ-ვაჟი ჰყავდა. ძუძუ არ ჰყოფნიდა ორივესთვის და მარტო ვაჟს აჭმევდა. ორივეს უწილადე-მეთქი ვუთხარი, არა ბატონო, ეს ხომ ვაჟიაო, მიპასუხა...

ხშირად ვამბობ ხოლმე და ახლაც გავიმეორებ – სიყვარულსა და ალერსს შეზღუდვა არ უნდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს ყველაფრის უფლება მივცეთ, ყველაფერი შევუსრულოთ, უნდა ვუთხრათ, შვილო, ყველას მირჩევნიხარ, მაგრამ ეს არ შეიძლება და მორჩა. ინდივიდუალური მიდგომითა და კეთილგანწყობით ყველაფრის მიღწევა შეიძლება.

**– თუმცა, გვყავნან ასოციალური ქცევის ბავშვები, რომლებიც არასასურველ თვისებებს ავლენენ და ურთიერთობა გვირთულდება.**

– ბავშვის ასოციალური ქცევა იმის ძახილია: დამეხმარეთო! მე-4 კლასამდე ყველას ეუბნებიან, ნიჭიერი ხარო, შემდეგ კი საშინელი დიფერენციაცია იწყება: ეს კარგი ბავშვია, ის – ცუდია, ეს ასწრებს, ის ვერა. ეს გამორჩეულია, ის არა. ზოგი სწავლაშია ძლიერი, ზოგი სპორტში, ცეკვა-თამაშში, სიმღერაში, ჩხირკედელაობაში, ტექნიკისადმი განსაკუთრებული მიდრეკილება გააჩნია, სახიერია, ბოლოს და ბოლოს მდიდარი ოჯახის შვილია და განსაკუთრებული ჩაცმულობითა თუ სამკაულით ან მობილური ტელეფონით მოაქვს თავი. ზოგიერთი კი დაჩაგრულია, თავს ვერაფერში იჩენს. არადა, ყველა ბავშვს უნდა ცხოვრების ავანსცენაზე ჩინებული როლი შეასრულოს, ყველას უნდა ტაში და აღიარება. როცა ამას ვერ ახერხებენ და ხელმოცარული რჩებიან, ზოგიერთი დეპრესიაში ვარდება, ზოგიერთი კი – პირიქით, სხვებზე ძალადობს, ასოციალურ თვისებებს ავლენს. ამიტომაც მშობლისა და პედაგოგის ვალია ბავშვს, მოზარდს ასპარეზი უპოვნოს, რომელზეც იგი თავს საუკეთესოდ წარმოაჩენს.

ვფიქრობ, პიროვნების სრულყოფილი ჩამოყალიბებისთვის სულიერ განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს. იმპრინტინგი, ანუ ქვეცნობიერ დონეზე ინფორმაციული კვალის დატოვება სიცოცხლის პირველ დღეებში, თვეებში, წლებში ხდება. ბავშვს გონებაში უნდა ჩავუბეჭდოთ იდეალები, ზნეობრივი მაქსიმები, ეროვნული ტრადიციები, გავუღვივოთ ესთეტიკური გემოვნება, სამართლიანობის გრძნობა. უნდა გავაცნოთ საქართველოს კუთხეები, სოფელი, მოვასმენინოთ მშობლიური ჰანგები. იმპრინტინგი პატრიოტიზმის ბიოლოგიური საფუძველია.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფიზიკურ აღზრდას, სპორტს. გოგონებისთვის განსაკუთრებით კარგია ცეკვა. ვაჟებს ხშირად ვთავაზობ რაგბით დაკავდნენ. კოლექტიური სპორტის ხიბლი სოციალური კონტაქტის დამყარება და გუნდური მოქმედების უნარ-ჩვევების გამომუშავებაა, რაც არათუ თამაშში, ცხოვრებაშიც მეტად გამოსადეგია.

**– ერთი მტკივნეული ნიუანსიც გვაქვს, ჰომოსექსუალიზმი. როგორ ფიქრობთ, ეს არის დაავადება თუ განსხვავებული ქცევა და რამდენად თვალშისაცემია ადამიანის სექსუალური ორიენტაცია ბავშვობიდანვე?**

– ყველა ქვეყანაში 1-2 პროცენტი განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანია... ეს გადახრაა, სხვანაირად არ შეუძლიათ. ფსიქოლოგიური მხარდაჭერა ესაჭიროებათ, მათ და მშობლებსაც. ასეთ პირებში ხშირია დეპრესია, თვითმკვლელობაც კი.

**– ამ შემთხვევაში რამდენად განმსაზღვრელია გარემო პირობები?**

– ჯერჯერობით მეცნიერება ამ შეკითხვას პასუხს ვერა სცემს, რატომ იბადება ადამიანი ასეთი მიდრეკილებით. ერთს კი ვფიქრობ, ნამეტანი აჟიოტაჟი არაა საჭირო ამ საკითხთან დაკავშირებით. რამდენი საქმეა გასაკეთებელი, თუნდაც აღზრდა-განათლების სფეროში. ერთი გერმანელი პროფესორი იყო, ადალბერტ ფონ ჩერნი, ძალზედ საინტერესო წიგნი დაწერა „პედიატრი, როგორც ბავშვის გამზრდელი" (ჩვენთან, საჯარო ბიბლიოთეკაშიც არის). და თუმცა „მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა", ყველაფერი უნდა ვიღონოთ რომ სასწავლო გარემო ოპტიმალურად პასუხობდეს ძირითად მოთხოვნებს – ხელს უწყობდეს ცოდნის მოპოვებას, მისი გამოყენების უნარის განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას.

**– ახლა კი უშუალოდ შევეხოთ ჯანმრთელობის ზოგიერთ ნიუანსს. მაგალითად, რითი ავადდებიან ბავშვები უმეტესად?**

– ჯანმრთელობა თვითმიზანი არ არის, მაგრამ აუცილებელი და ძირითადი საშუალებაა პიროვნების სრულყოფილი თვითრეალიზებისთვის. მაგალითად, ასთმიანი ბავშვები ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ, თუ მკურნალობა სწორად არ წარიმართება, მათ ხშირად უწევთ გაკვეთილების გაცდენა, ჩამორჩებიან პროგრამას და შესაბამისად, კარგი შედეგი არა აქვთ განათლების მხრივ.

ბავშვებს ხშირად მოავადეებს ვუწოდებთ, თუკი წელიწადში 6-7-ჯერ და უფრო ხშირად ხდებიან ავად. მათ უქვეითდებათ იმუნიტეტი. თუ გვსურს, მოზარდი კაჟივით იყოს, ცივი წყლით უნდა იბანოს, ფეხებზე ცივი წყალი გადაივლოს, სველი პირსახოცით ტანი დაიზილოს, ცივი შხაპი მიიღოს... ყველაზე ხშირად ბავშვებს სასუნთქი სისტემის დაავადებები ემართებათ, რასაც ასევე გაკაჟებით უნდა ვებრძოლოთ. ასთმის წინამორბედია შედარებით მცირე ალერგიული გამოვლინებები. ე.წ. ალერგიული მარში რომ არ განვითარდეს, დროული ჩარევაა საჭირო. სულ უფრო აქტუალური ხდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტატის დაავადებები, მოზრდილ ადამიანებში ესენი ყველაზე ხშირად ხდება. მათი სათავე ბავშვობის პერიოდშია. არასწორი კვება, ზედმეტი ანტიბიოტიკოთერაპია, მემკვიდრეობითი განწყობა – ძირითადი ფაქტორები, ამ პათოლოგიის განვითარებას რომ უწყობს ხელს. სიტყვამ მოიტანა და მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს საუნივერსიტეტო გივი ჟვანიას სახელობის პედიატრიულ აკადემიურ კლინიკაში ბონის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ამა წლის სექტემბერ-ოქტომბერში ბავშვთა გასტროენტეროლოგიის ცენტრის გახსნას ვგეგმავთ.

**– საინტერესოა ბავშვთა კვება, რომელიც ძალიან ბევრ მშობელს უქმნის პრობლემას. რა უნდა შევთავაზოთ პატარებს იმისთვის, რომ ისინი ჯანმრთელები იყვნენ?**

– 6 თვემდე, სასურველია, ჩვილი მხოლოდ ძუძუს იღებდეს, 6 თვიდან ერთ წლამდე – ძუძუსაც და დამატებასაც. ხოლო წლიდან ძუძუთი კვება მხოლოდ ჩასაკოკლოზინებელი ხდება, თუმცა, თუ დედას რძე აქვს, ნუ მოვაკლებთ პატარას ამ სიამოვნებას.

რაც შეეხება ჯანსაღ კვებას უფროსი ასაკის ბავშვებსა და მოზარდებში, მოწოდებულია ხუთჯერადი კვება: სამი ძირითადი იჯრა, ორი წახემსება. სითხე (წყალი პირველ რიგში), ნახევარ-ლიტრანახევრამდე დღეში, ბლომად ხილი და ბოსტნეული, ხორცი ზომიერად, აუცილებელია რძის ნაწარმი და ფაფები, ზეთის მიღება. განსაკუთრებით სასარგებლოა თევზეული – იოდის შემცველი პროდუქტი. ამ ყოველივე ზემოდ ჩამოთვლილს ხმელთაშუა ზღვის დიეტა მოიცავს, ჩვენც ხომ, პრაქტიკულად ამ რეგიონს მივეკუთვნებით. აუცილებელია დავიცვათ კვების პირამიდა, ხოლო ამ პირამიდის „წვეროში" მოქცეული ნუგბარი და ტკბილეული შეზღუდული რაოდენობით მივიღოთ უფროსებმაც და პატარებმაც.

კვებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოძრაობას, ვარჯიშს, სუფთა ჰაერზე ყოფნას.

**– მართალია მსოფლიო ებრძვის სიმსუქნეს, თუმცა, ჩვენში მაინც ლოყებღაჟღაჟა, ჩასუქებული პატარები მოსწონთ. ამიტომ მეტ-ნაკლებად ყველგან ხდება საჭმლის დაძალება.**

– თუკი ბავშვი წონაში მკვეთრად ჩამორჩება, დაძალება კი არა, მკურნალობაა საჭირო. თუ ასეთი პრობლემა არ დგას, ცხადია, დაძალება არ არის საჭირო. ჯერ ერთი. შეიძლება მართლა შევუმუშავოთ ჭარბად კვების მავნე ჩვევა. ფსიქოლოგიურადაც არასასურველი შედეგებიც არის მოსალოდნელი: დაძალებით ბავშვის პიროვნებას ვტეხავთ, ან ფლიდობის, ცბიერების განვითარებას ვუწყობთ ხელს.

კაცობრიობის ყველაზე დიდ აღმოჩენად აფრა მიმაჩნია. იცით, რატომ? როცა ზურგის ქარი გიბერავს, წინსვლა იოლია, მაგრამ როდესაც შუბლის ქარია, დასახულ მიზნამდე მისვლა ძალზე ძნელია, მაგრამ შესაძლებელი, აფროსნობაში დახელოვნებაა საჭირო. ცხოვრებაში შუბლის ქარი ბევრად უფრო მეტია. პატარა ბავშვსაც (და მოზარდსაც), როცა ისე არ იქცევა, როგორც საჭიროა, ჭკუით უნდა ვაჯობოთ და არა დაძალებით

**– ამ სირთულეების გადალახვაში კი პატარებს, ალბათ, ყველაზე მეტად მშობლის თანადგომა და გამოცდილება გამოადგებათ...**

– რა თქმა უნდა. მამის როლის შესახებ მინდა ვთქვა ორიოდე სიტყვა. დედასა და შვილს შორის იმისთანა ნასკვებია, რაც უნდა მოხდეს, ძნელია სიახლოვის



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

განწყვეტა. მამა კი ყოველდღიურად უნდა განამტკიცებდეს ავტორიტეტს – გონიერებით, ვაჟკაცობით, სამართლიანობით, სიმტკიცით, მომავლის რწმენით, დახმარებისთვის მზადყოფნით.

**– ბატონო ყარამან, რა მდგომარეობა გვაქვს იშვიათ დაავადებებთან დაკავშირებით?**

– ძალიან საჭირბოროტო შეკითხვაა. ხშირი დაავადებები მართვადია. ბოლოს და ბოლოს, ბავშვი არ უნდა კვდებოდეს ფილტვების ანთებით, ბანალური ინფექციით, ფაღარათით... იშვიათ დაავადებათა (თანამედროვე განმარტებით მათი სიხშირე არ აღემატება 1-ს 2000-ზე, ხშირად ბევრად უფრო იშვიათიცაა) რაოდენობა 7 ათასამდე აღწევს, ისე რომ მათი სრულყოფილი ცოდნა რეალურად შეუძლებელია. შესაბამისად დიაგნოსტიკაც ჭირს, გამოკვლევების ჩატარებაც ძნელია. მეტიც, წამლის შოვნაც პრობლემაა, ვინაიდან ფარმაცევტულ კომპანიებს წმინდა ფინანსური თვალსაზრისით ასეთი სახის მედიკამენტები, რომელიც ცოტა ვინმეს თუ დასჭირდება, ნაკლებად აინტერესებთ, არ ქმნიან, არ შემოაქვთ. ამავე დროს, დადგენილია, რომ ესა თუ ის იშვიათი დაავადება მოსახლეობის 5-7%-ს აქვს. დასავლეთში ეს პრობლემა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესად არის მიჩნეული. სიამაყით აღვნიშნავდი, რომ ჩვენს უნივერსიტეტში უკვე რამდენიმე წელია ვმუშაობთ ამ მიმართულებით.

**– თქვენ, ალბათ, აპირებთ ამის შესახებ მიაწოდოთ ინფორმაცია ჯანდაცვის სამინისტროს. კიდევ სხვა რა პრიორიტეტებს გამოყოფთ?**

– ცხადია, ეს ჩემს სამოქალაქო მოვალეობად მიმაჩნია, ჩემი მოსაზრებები, რომელიც, ვფიქრობ, წაადგება ბავშვთა ჯანდაცვის გაუმჯობესებას, წარვუდგინო ზემდგომ ორგანოებს გადაწყვეტილების მისაღებად. მით უფრო, რომ მინისტრი ექიმია, თანაც პედიატრი და მისთვის ყველა ეს პრიორიტეტი ნაცნობია. ჩემი აზრით, აქცენტი ქრონიკული დამაინვალიდებელ და ე.წ. იშვიათ დაავადებებზე უნდა გაკეთდეს. რაც შეეხება ხშირ მწვავე დაავადებებს, ესენი უფრო მართვადია და აქ მენეჯმენტის დახვეწაა მთავარი. ძალზე მნიშვნელოვანია დაავადების პრევენცია, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, მოზარდთა პრობლემატიკა (დღემდე არ არსებობს მოზარდთა ჯანდაცვის თანამედროვე ცენტრები. ამ პერიოდში დაავადებები შედარებით იშვიათია, ძირითადი გამოწვევა ქცევის დარღვევებია – რისკული ქცევა, აგრესიულობა, ნარკომანია, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარება, ადრეული სქესობრივი ცხოვრება, არასწორი კვება; ძალისხმევაც ამ მიმართულებით უნდა ხორციელდებოდეს. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანია, სოციალური პროგრამების გამჭვირვალობა...

**– ამ თემაზე შეკითხვას ისედაც ვაპირებდი. რამდენად ხელმისაწვდომია ყველასთვის დაზღვევა და არის თუ არა საკმარისი?**

– მედიცინა ყოველდღიურად ვითარდება, ახალ-ახალი შესაძლებლობები ჩნდება, მაგრამ სამედიცინო დახმარების ფასიც მატულობს (ეს საყოველთაო მოვლენაა). ჩვენს ქვეყანაში თანდათანობით სხვადასხვა სოციალური პროგრამაც ინერგება. ერთია მხოლოდ, ხშირად პოტენციურმა მომხმარებლებმა ნაკლებად იციან მათი არსებობაც კი. რაღაცნაირად უკეთესად უნდა გავრცელდეს ინფორმაცია.

**– აცრების მნიშვნელობაზეც უნდა გკითხოთ...**

– დაავადებათა პროფილაქტიკისთვის აცრაზე უკეთეს საშუალებას მედიცინა ჯერ არა ფლობს, ამდენად მას უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს. სხვათა შორის, ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე ჩემმა ამერიკელმა კოლეგამ მოხსენება წაიკითხა აცრებზე. ვკითხე, თქვენთან აცრა სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი-მეთქი? ამერიკა თავისუფალი ქვეყანაა და აცრაც ნებაყოფლობითიაო. მაშ, როგორ ახერხებთ 90-96 პროცენტზე მეტი აცრილი რომ გყავთ-მეთქი. თავისუფალი არიან საბავშვო ბაღების, სკოლების, კოლეჯების დირექტორები, უნივერსიტეტების რექტორები და მათი უმეტესობა აუცრელ ბავშვებს, მოზარდებს სასწავლებლებში არ ღებულობსო... ძალიან გონივრული მიდგომაა...

ნებისმიერი მიზნის მიღწევა ცოდნაზე უნდა იყოს დაფუძნებული. თუ გვინდა, რომ ბავშვთა და მოზარდთა დაცვა, განვითარება და ჯანდაცვა გაუმჯობესდეს, მეცნიერების შესაბამის დარგებს უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა, უნდა ტარდებოდეს კვლევები კლინიკურ პედიატრიაში, ეპიდემიოლოგიასა და ბავშვთა და მოზარდთა ფიზიოლოგიაში.

ჩვენ ვერ შევედრებით რესურსებით გერმანიას, საფრანგეთს, ამერიკას, რუსეთს, ჩინეთს ... მაგრამ შევედაროთ ჩვენი სიდიდის ქვეყნებს – ჯანმრთელობის მაჩვენებლებით, სიცოცხლის ხანგრძლივობით, განათლების ინდექსით, ნობელის პრემიებით, ცხოვრების დონით, ეკონომიკით, იმით, თუ რას ვქმნით, რას ვაკეთებთ. ის, რაც ბავშვების საკეთილდღეოდ კეთდება, პატრიოტულია, ერისა და ქვეყნის მომავალს ემსახურება. რაც მათ საწინააღმდეგოდ არის მიმართული – პირიქით. ეს ეხება მედიცინას, განათლებას, მეცნიერებას, ეკონომიკას, მასმედიას. ჩემს ინტერვიუებში ხშირად ვიხსენებ ერთ ეპიზოდს კინოფილმიდან „ღვინის ქურდები" – გივი ბერიკაშვილის გმირი წიწილას რომ დაისვამს ხელისგულზე და ამბობს: მთავარი ის არის, ამ ბარტყისგან არწივი გავზარდოთო. ეს არის სწორედ პედიატრიის, პედაგოგიკისა და მთლიანად საზოგადოების ამოცანა!

**ესაუბრა**
**თეა მოსია**

## ◎ რიგებშევსებული აკადემია

# აკადემიკოსი ვახტანგ კოკილაშვილი



**დაიბადა 1938 წელს. ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ა. რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის მათემატიკური ანალიზის განყოფილების გამგე.**

ფუნქციათა თეორიასა და ფუნქციონალურ ანალიზში წრფივი და არაწრფივი ჰარმონიული ანალიზის, აპროქსიმაციის თეორიის, მათემატიკური ფიზიკის კერძოწარმოებულებიან დიფერენციალურ განტოლებათა თეორიის საკითხებზე გამოქვეყნებული აქვს 230 სამეცნიერო სტატია, მათგან უმეტესობა საზღვარგარეთულ ინგლისურენოვან მაღალავტორიტეტულ ჟურნალებში; უცხოეთშივე ინგლისურ ენაზე დასტამბა 5 მონოგრაფია, კიდევ 2 – საქართველოში, რუსულ ენაზე; ამ ორიდან 1985 წელს გამოსული მონოგრაფიისათვის „მაქსიმალური და სინგულარული ინტეგრალები წონიან ფუნქციურ სივრცეებში" მიენიჭა ა. რაზმაძის სახელობის საკადემიო პრემია.

ვახტანგ კოკილაშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული და დაცულია 8 საკანდიდატო დისერტაცია, შესრულებულია 24 სამაგისტრო ნაშრომი, დამუშავებულია 10 სამეცნიერო საგრანტო პროექტი. ის გახლავთ 6 საერთაშორისო მათემატიკური ჟურნალის სარედაქციო კოლეგიების წევრი, ასოცირებული გამომცემელი ან მთავარი რედაქტორი; 62 სამეცნიერო ფორუმის – საერთაშორისო კონფერენციების, სიმპოზიუმებისა თუ კონგრესების მონაწილე, რომელთა რიცხვშია 3 მსოფლიოს მათემატიკოსთა კონგრესი, ევროპის მათემატიკოსთა კონგრესი, ISAAC-ის (საერთაშორისო კავშირი ანალიზსა, მის გამოყენებებსა და კომპიუტერულ მეცნიერებებში) ორი კონგრესი; მარტო ბოლო 5 წელიწადში მონაწილეობდა 10 საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში, აქედან 7-ში მიწვეული იყო პლენარულ მომხსენებლად (იაპონია, გერმანია, ფინეთი, ისრაელი, შვედეთი, დიდი ბრიტანეთი); 2009 წელს მიიწვიეს ლონდონში, „იმპერიალ-კოლეჯში", 2010-ში – ლექტორად ლისაბონში (პორტუგალია) გამართულ საზაფხულო მათემატიკურ სკოლაში, 2011-ში ნეაპოლის (იტალია), აგრეთვე, საზაფხულო სპეციალურ სკოლაში.

უცხოელი ცნობილი მათემატიკოსების 24 მონოგრაფიაში ქართველი მკვლევარი მოხსენიებულია არა უბრალოდ ციტირებით (აქვე სათქმელად, მის ნაშრომთა ციტირების ინდექსი აღემატება 2000-ს!), არამედ არსებითად: შედეგების ასახვით, პარაგრაფების, პუნქტების მიძღვნით, სახელობითი თეორემებისა თუ ფორმულირების მოყვანით. იგივე სურათია კემბრიჯის უნივერსიტეტის მათემატიკური ენციკლოპედიის სერიით 2010 წელს გამოცემული ორტომეულის ორივე ტომში.

### საერთაშორისო შეფასებანი

ვახტანგ კოკილაშვილის ბიოგრაფია შევიდა წლეულს აშშ-ში გამოქვეყნებული, „ვინ ვინ არის მსოფლიოში"-ს საიუბილეო წიგნში. რედაქციის გზავნილში ვკითხულობთ: **„თქვენ იმ პიროვნებათა შორის ბრძანდებით, ვისაც თავის დარგში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საზოგადოებისა და მსოფლიოს წინაშე".**

**ვ. მაზია, შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების საპატიო წევრი:** „ვახტანგ კოკილაშვილი საერთაშორისო აღიარების მქონე, გამორჩეული მათემატიკოსია, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე მათემატიკური ანალიზის განვითარებაში... გარკვეული მიმართულებით იგი ქართული მათემატიკური სკოლის შემქმნელად ითვლება".

**ვ. ბურენკოვი, ISAAC-ის ვიცე-პრეზიდენტი:** „ვახტანგ კოკილაშვილს მრავალი მოფაწე და მიმდევარი ჰყავს როგორც სამშობლოში, ისე დასავლეთის ცნობილ სამეცნიერო ცენტრებში, ქართული სკოლის ფუძემდებელია წონიან ლებეგის სივრცეებში, ოპერატორთა თეორიასა და გამოყენებებში".

**ჰ. ტრიბელი, ბერლინ-ბრანდერბურგის (ყოფილი პრუსიის) მეცნიერებათა აკადემიის წევრი:** „ის თავის დარგში მსოფლიო მასშტაბის წამყვანი მათემატიკოსია".

**დ. ედმუნდსი, სასექსის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის პროფესორი:** „მისი ამჟამინდელი მოღვაწეობის დონე, მიღწევები მეტად შთამბეჭდავია... შეუძლებელია არ აღფრთოვანდე მეცნიერის კვლევათა შედეგების რაოდენობითა და მნიშვნელობით, იმ გზებით, რომლებითაც სხვა მკვლევარებს თავისკენ იზიდავს".

**ლ. დიენინგი, მიუნხენის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი:** „ყველა ჩვენგანს სანიმუშოდ გვესახება ბატონი ვახტანგის გამჭრიახი მათემატიკური გონება და მაღალი სამეცნიერო თუ ეთიკური ნორმები".

### დიალოგი

**– ვახტანგ, ვის მოწაფედ თვლი თავს მათემატიკურ მეცნიერებაში?**

– ჩემი მეცნიერი ხელმძღვანელი იყო დაუვიწყარი პროფესორი ვლადიმერ ჭელიძე, რომლისადმი მადლიერების გრძნობას სულ თან ვატარებ. ეს გრძნობა იმითაც გამოვხატე, რომ ბატონი ლადოს 100 წლისთავისადმი მიძღვნილი „მათემატიკის ინსტიტუტის შრომების" სპეციალური ტომის რედაქტორი გახლდით.

**– რას იტყვი ჩვენში მეცნიერებისა და განათლების ახლანდელ მდგომარეობაზე?**

– ბოლო 9 წელიწადში სამეცნიერო დაწესებულებათა განადგურებას ცდილობდნენ, აკადემიას ჩამოაშორეს კვლევითი ინსტიტუტები. მაგალითად, არაფერი სასიკეთო არ გამოვიდა უნივერსიტეტთან მათემატიკის ინსტიტუტის მიერთებიდან, იქ საერთოდ არ აინტერესებთ მათემატიკის ინსტიტუტი, უნიკალური წიგნები სადღაც სარდაფში უყრიათ...

მაგათმა ვითომ რეფორმებმა განათლებაშიც მძიმე ნეგატიური შედეგები მოიტანა.

ახლა გაჩნდა იმედები, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში მდგომარეობის გამოსასწორებლად შესაბამისი ნაბიჯები გადაიდგმება.

**თამაზ ებანოიძე**

## ◎ ალიან-ჩალიანი

### ჯერ ტაძარს აღადგენენ, კუთვნილებას მერე დაადგენენ



**კოტე აფხაზის ქუჩაზე მდებარე ე.წ. ნორაშენის ეკლესიას სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდება. ე.წ. ნორაშენის ეკლესიიდან, რომელიც საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სომხურ ეკლესიას შორის სადავო ტაძარს წარმოადგენს, წიგნსაცავის გამოტანა და გამოსუფთავება დაიწყო, რათა შემდეგ ტაძარს სარესტავრაციო სამუშაოები ჩაუტარდეს. ამ მიზნით გუშინ ნორაშენში კულტურის სამინისტროს, საპატრიარქოს, სომხური ეკლესიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.**

**ტაძრის კარი წლების განმავლობაში დაკეტილია და სპეციალურად ამ მიზნით გაიღო. როგორც ჟურნალისტებთან საუბრისას კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტის დირექტორმა ბესიკ მაცაბერიძემ განაცხადა, ტაძრის კუთვნილების გარკვევამდე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ იქ სარესტავრაციო სამუშაოები შესრულდეს. მისივე თქმით, საბჭოთა პერიოდში ეკლესიაში მეცნიერებათა აკადემიის წიგნსაცავი იყო. წიგნები საპატრიარქოს გადაეცა და გადატანილი იქნება ჯიქიას ქუჩაზე, საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში.**

**სომხეთის სამოციქულო ეკლესიის წარმომადგენელმა ლევან ისახიანმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, რომ ტაძარი XV საუკუნეში სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მიერ აშენდა და იქ მსახურება კომუნისტების პერიოდამდე მიდიოდა. მან იმედი გამოთქვა, რომ რესტავრაციის შემდეგ ეკლესია მესაკუთრეს დაუბრუნდება.**

**ე.წ.ნორაშენის ეკლესიაში უნიკალური ფრესკები დღესაც არის შემორჩენილი და, როგორც აცხადებენ, სწორედ ფრესკების გამო ტაძარი იუნესკოს ძეგლების სიაშია შეტანილი.**

### ტრავენტინს ბუნების ძეგლის სტატუსი არ გააჩნია



**გუდაური-კობის გზის მონაკვეთზე საგზაო სამუშაოების დროს ტრავენტინის დაზიანებასთან დაკავშირებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ აღნიშნული ტერიტორია წარმოადგენს ბუნების ძეგლს.**

**გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინიტროს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო გაცნობებთ, რომ „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად, გუდაური-კობის გზაზე მდებარე ტრავენტინს დაცული ტერიტორიების სტატუსი (ბუნების ძეგლი) არ აქვს მინიჭებული.**

**სააგენტოს ინფორმაციით, აღნიშნული ტერიტორია არც საქართველოს სსრ წითელი წიგნით იყო დაცული, – აღნიშნულია განცხადებაში.**

**ინტერპრესი**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

**ერის სულიერი ბელადი**



# „რეფორმა კულტურით უნდა დაიწყოს“

1978-1979 წლებში, იმამ ხომეინის (1900-1989) ხელმძღვანელობით, ირანში მოხდა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი რევოლუცია, რომლის მსგავსი თითებზე ჩამოსათვლელი შეიძლება იყოს, რის შედეგადაც დაემხო ირანის 2500-წლიანი მონარქიული სახელმწიფო წყობა და მის ნანგრევებზე აღმოცენდა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ქვეყანას სათავეში შაჰის ნაცვლად ჩაუდგა სულიერი ბელადი.

აიათოლა ხომეინი პოლიტიკურ ასპარეზზე 60-იან წლებში გამოდის, რასაც მალე, 1963 წელს მისი დაპატიმრება მოჰყვა, თუმცა, მალე გაათავისუფლეს, მაგრამ იმავე წელსვე, ხელმეორედ დააპატიმრეს და თურქეთში გადაასახლეს.

ხომეინი 1965 წლიდან ერაყში ცხოვრობს და მოღვაწეობს. 1978 წელს, ირანის შაჰის მუჰამედ რეზა ფეჰლევის მოთხოვნით, მას ერაყი დაატოვებინეს. ხომეინი საფრანგეთმა შეიფარა, სადაც ის მსოფლიოს დიდი ყურადღების ქვეშ მოექცა.

საფრანგეთში ჩასვლიდან სამი თვის თავზე, ხომეინი გამარჯვებული ბრუნდება ირანში. თეირანის მეჰრაბადის აეროპორტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მილიონობით ირანელი, ორი კვირა ცას შესცქეროდა და ისე ელოდებოდა პარიზიდან მის ჩამოფრენას. ჩამოფრინდა ისიც და ჩაუდგა ქვეყანას სათავეში. ქვეყნის პირველი პირი არ გადასულა ქვეყნის პირველი პირისთვის განკუთვნილ რეზიდენციაში. იგი თავისი პატარა ოთახიდან მართავდა ქვეყანას და იქ იღებდა მსოფლიო ლიდერებს.

ხომეინის ეკუთვნის 60 ტომი ნაშრომებისა, რომელიც ეძღვნება რელიგიურ და ფილოსოფიურ თემებს, მორალს, ეთიკას... ხომეინიმ ჩამოაყალიბა „ისლამური მმართველობის“ კონცეფცია.

ხომეინი ამავე დროს იყო პოეტი, რასაც ის თავმდაბლობის გამო არ ამხელდა. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გახდა მისი ფილოსოფიური ლირიკა ცნობილი ირანელი ხალხისთვის.

ირანელი ხალხის მერე მეორე იყო ქართული საზოგადოება, რომელსაც მიეცა საშუალება გასცნობოდა ხომეინის ლირიკას, სახელგანთქმული ირანისტების მაგალი თოდუასა და ვახუშტი კოტეტიშვილის შესანიშნავი თარგმანების მეშვეობით, რომლებმაც 1975 წელს, ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ერთდროულად გამოაქვეყნეს თავიანთი თარგმანები.

ამგვარად, ირანისთვის საქართველო პირველი ქვეყანაა საზღვარგარეთისა, სადაც ითარგმნა და გამოქვეყნდა ხომეინის პოეზია.

საქართველოში, ქართველი ირანისტების მიერ, არა ერთი და ორი ნაშრომია მიძღვნილი ხომეინის მეცნიერული, პოლიტიკური შეხედულებებისა თუ პოეტური შემოქმედებისადმი.

ამ სტრიქონების ავტორის მიერ სპარსულიდან თარგმნილია მოგონებათა წიგნი ხომეინიზე, საიდანაც მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე მოგონებას ღოლამ ალის წიგნიდან „მწვანეზე მწვანე“ და ბოლოს შევთავაზებთ მისი ფილოსოფიური ლირიკიდან ერთ ლექსს, რომლის თარგმანიც ეკუთვნის მაგალი თოდუას:

* * *

როცა ირანის შაჰმა – მუჰამად რეზა ფეჰლევიმ ქვეყანა დატოვა, იმამს მაშინ პარიზთან ახლოს, დაბა ნოფლლე-შატოში ედო ბინა. ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ინტერვიუს ასაღებად, ასობით კორესპონდენტი შემოჰკვროდა მის სახლს.

გამოიტანეს ტახტი და იმამი მასზე დააბრძანეს. ჩაირთო მასმედიის ყველა სახის საშუალებანი. მსოფლიოს თვალი იმამისკენ იყო მიპყრობილი.

პირობა ასეთი იყო: კორესპონდენტებს ჯგუფ-ჯგუფად უნდა დაესვათ თითო შეკითხვა. ის იყო დაისვა ორი-სამი შეკითხვა, რომ გაისმა ლოცვის მაუწყებელი აზანის ტკბილი ხმა. „შუადღის ლოცვის ჟამი მოვიდაო“, – ბრძანა იმამმა და გაემართა სალოცავად.

ყველა სახტად დარჩა. ერთ-ერთმა შეჰბედა კიდეც იმამს: იშვიათი რამ მოხდა, თქვენს ხმას მთელი მსოფლიო სულგანაბული ელოდება. იქნებ რამდენიმე შეკითხვაზე მაინც გვიპასუხოთო.

– „არავითარ შემთხვევაში ეს არ მოხდება,“ უპასუხა მკვეთრად იმამმა და განაგრძო გზა.

* * *

იმამს ერთი დამახასიათებელი თვისება ჰქონდა. იგი თავისთავს არ თვლიდა ვინმესგან გამორჩეულ პიროვნებად და ზედმეტ ყურადღებასაც არ ითხოვდა.

მისი ეს თვისება საბაბი ხდებოდა იმისა, რომ შეკრებებისას, სადაც კი უბრალო ადგილს მოიხელთებდა, უმეტესად კარებთან, იქ ჩაიმუხლებდა. განსხვავებით იმათგან, ვინც გამოსაჩენი ადგილებისკენ მიჰქონდათ თავი, ქუჩა იქნებოდა ეს თუ ბაზარი, იგი ხალხში მოძებნიდა თავისთვის მუხლმოსაკეც ადგილს, მაგრამ არა ისეთს, სადაც სივიწროვე იყო და შეიძლებოდა ვინმე შეეწუხებინა.

ერთ-ერთი ქალბატონი, რომელიც ხომეინის საფრანგეთში ყოფნისას მის სახლში იმყოფებოდა, იმამის თავმდაბლობის შესახებ იგონებს: „ერთხელ იმამთან სტუმრები მოვიდნენ. სადილის მერე, როცა სუფრა ალაგდა, სამზარეულოში იმამი შემოვიდა. ის დრო არ იყო, ლოცვის წინ განსაბანი წყალი დასჭირვებოდა და შევკადრე, თუ რაში იყო საქმე. ასე მომიგო: ვინაიდან დღეს დიდი სტუმრობა გვქონდა, გასარეცხად ჭურჭელიც ბევრი მოგროვდა, შემოვედი, რომ მოგეშველოთ.“

* * *

იმამისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ იგი არასოდეს არავისზე იტყოდა აუგს. თუ საუბრისას ვინმე ვინმეზე დააპირებდა ცუდის თქმას, იგი მაშინვე მოხერხებულად სიტყვას ბანზე აუგდებდა.

ხომეინის სახლის წინ ხშირად საათობით იკრიბებოდნენ სემინარისტები და მსჯელობდნენ მეცნიერულ საკითხებზე. თუ ამ დროს რომელიმე პირის მისამართით გამოითქმებოდა რაიმე უარყოფითი აზრი, იმამი წუხდა.

ჰაჯი აღა მუსტაფა ხომეინი იმამის მიერ მათი მისამართით ნათქვამს იგონებს: „თქვენს შეკრებებზე ზოგჯერ სხვათა მისამართით აუგს ვისმენ. არ მსიამოვნებს, რომ აქ ვინმეზე ცუდი ისმისო.

* * *

როცა ნაჯაფში იმამს თავისი შვილის – ჰაჯი აღა მუსტაფა ხომეინის – მოწამებრივად აღსრულების ამბავი მიუტანეს, იგი კუთხეში განმარტოვდა და ალაჰს შეჰღაღადა.

მაშინ მან ასე ინუგეშა თავი და ანუგეშა ოჯახის წევრები.

იმ მძიმე წუთებში ერთი ისეთი რამ მოხდა, რომელიც ნათლად ავლენს იმამის დამოკიდებულებას კანონისადმი.

დამწუხრებულმა ოჯახის წევრებმა მოინდომეს რევოლუციის ბელადის კანცელარიის ტელეფონით თეირანში დაერეკათ, მაგრამ იმამმა მათ ამის ნება არ დართო და ასე აუხსნა: „ეს ტელეფონი სახელმწიფოსია, თქვენ კი კერძო პირები ხართ, ამიტომ ამით სარგებლობის უფლება არა გაქვთ.“

* * *

იმამი არასოდეს დაავალებდა სხვას იმას, რისი გაკეთებაც თავად შეეძლო.

ნაჯაფში ყოფნისას, როცა ის სახლში ანთებულ ნათურას შეამჩნევდა, სხვას არ შეაწუხებდა, ავიდოდა თვითონ, ჩააქრობდა და შემდეგ სიბნელეში მესამე სართულიდან ჩამოუყვებოდა კიბეს.

იგი არასოდეს ააგზავნიდა მაღლა ბავშვს ან ვინმე სხვას რაიმეს ჩამოსატანად. რამე თუ დასჭირდებოდა, ქაღალდი იქნებოდა ეს, კალამი ან სხვა რამ, თვითონვე ჩამოიტანდა.

* * *

**შენ, მხოლოდ შენ ერთს მოგანდე გული**
**და შენს თვინიერ მწედ არვის ვგულობ,**
**მხოლოდ შენს ვნებას დავუთმე ვნება,**
**ქვეყნიერების სულო და გულო.**
**ეს ტრფობის შენის ბიძგია მხოლოდ**
**გულს რომ მიტოკებს მე, გულის ვარდო;**
**ოდენ შენს ტურფა ხატს ვემონები**
**და ვნების შენის ცეცხლი მწვავს მარტო.**
**შენთან ვარ მარად, არსობას ჩემსას**
**შენით ვამთავრებ და შენით ვიწყებ,**
**მაგრამ ჯერ ამას მე ვერ გიმტკიცებ,**
**რადგან საშენო ჰიმნი ვერ გიძღვენ.**
**გაფიცებ, პირზე აიხსენ რიდე,**
**ქენჯნილი კაცის ისმინე აჯა!**
**შენს გარდა არვის დანახვა არ მსურს,**
**შენს იქით ჩემთვის არავინ არ ჩანს.**
**ჩემს სიახლოვეს შენ თუ არ სუნთქავ,**
**თავსაყუდარი ქვეყნად არსად მაქვს,**
**თვითონ სამოთხეც რომ სამოთხეა,**
**არ მიღირს იგი ჩალის ფასადაც.**
**ნუ შემიწუხეთ სულ ამ ედემის**
**და ჰურიების ხსენებით სული, –**
**სანამდის შენ არ შეგადგამ მე თვალს,**
**მანამდის გული არა მაქვს სრული.**

„რეფორმა კულტურით უნდა დაიწყოს“ – ეს სიტყვები ეკუთვნის იმამ ხომეინის. რევოლუციის შემდგომმა ირანმაც სახელმწიფო გარდაქმნები ზნეობის დაცვასა და კულტურაზე ზრუნვით დაიწყო.

ირანელები დიდ პატივს მიაგებენ იმამ ხომეინის სახელს, ყოველ წელს აღნიშნავენ მისი დაბადებისა და გარდაცვალების დღეს. წელს 4 ივნისს სრულდება ხომეინის გარდაცვალებიდან 24 წელი.

**ნოდარ ბართაია**

**დაჯილდოება**

# კონკურსს ათი გამარჯვებული ჰყავს



**ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში გაიმართა კონკურს „მცირე პროზაში“ გამარჯვებულთა დაჯილდოება. ეს პროექტი, რომლის ავტორი მუზეუმის დირექტორი ნანა ელიზბარაშვილია, შვიდი წელია ხორციელდება. კონკურსის მხარდამჭერია თბილისის მერიის კულტურის სამსახური და მასში მონაწილეობენ სტუდენტები, მაგისტრანტები.**

წლეულს კონკურსში სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან 52 ახალგაზრდა მონაწილეობდა.

ჟიურის წევრის, პარლამენტის აპარატის წარმომადგენლის, აღმოსავლეთმცოდნე ქეთევან ტომარაძის თქმით, სტუდენტები მეტი ყურადღებით და პატივისცემით ეკიდებიან მიზანს, ცდილობენ გამართულად წერას, მართლწერას და სტილს აქცევენ ყურადღებას.

მიზანიც ესაა – ისწავლონ, ცოდნა გაიღრმავონ, თამამად გამოხატონ სათქმელი და ესთეტიკური სიამოვნება მოგვანიჭონ. „ვისურვებდი, რომ მომავალში მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ ქართულ ენას, მეტი სითბო გამოიჩინონ ყოველი ფრაზისადმი“.

ჟიურის წევრმა, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურის წრის ხელმძღვანელმა ნანული ჩიხლაძემ დასძინა, რომ წინა წლებთან შედარებით, თითქმის არ შემოსულა ნამუშევრები, სადაც ბილწსიტყვაობის სიუხვე იქნებოდა. ნამუშევრები იშვიათი გულწრფელობითა და ემოციურობით გამოირჩეოდა.

გამოვლინდა სამი გამარჯვებული და შვიდი ნომინანტი. **თამარ გამგებელს, ნინი გლურჯიძესა და ბექა ბერულავას** გადაეცათ გამარჯვებულის სიგელები (შესაბამისად, I, II და III პრემია), ასევე ფულადი ჯილდოები.

ნომინაციებში გაიმარჯვეს: **ჯაბა შიოშვილმა, მარიამ ასკილაშვილმა, თამარ ჩქარეულმა, რატი წეროძემ, ნათია ლაცაბიძემ, ნინო თოდრიამ, ქეთევან სიხარულიძემ.**

წლეულს კონკურსს მხარი დაუჭირეს კომპანიებმა: „გალფმა“ და „სილქნეთმა“, ასევე ეროვნულმა ბიბლიოთეკამ, ქალაქის მთავარმა ბიბლიოთეკამ. მოწონებული ნაწარმოებები დაიბეჭდება ჟურნალებში: „ლიტერატურული პალიტრა“ და „ჩვენი მწერლობა“.

**ნატა ნიბლაძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

არის წინადადება!

# კანონმა უნდა უზრუნველყოს...

## ღია წერილი საქართველოს პარლამენტს ქართულ ანბანში ასომთავრულის შემოღების შესახებ



საამაყოა, რომ მსოფლიოში არსებულ 14 ანბანს შორის ერთი ქართულია. მხედრულმა დამწერლობამ, რომელიც მხოლოდ ნუსხურ (ანუ პატარა ) ასოებს იყენებს, ისტორიულად უდიდესი როლი შეასრულა, რადგან თავისი სიმარტივით ხელს უწყობდა წერა-კითხვის შესწავლას. რუსეთის იმპერიაში მეოცე საუკუნის დასაწყისში ჩატარებული კვლევის მიხედვით ყოველ ათას სულზე წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობით ქართველები უპირველესნი იყვნენ. სამწუხაროდ, ახალ ისტორიულ რეალობაში ის ფაქტი, რომ ჩვენი ანბანი არ შეიცავს მთავრულ (ასომთავრულ) ასოებს, აშკარად აკნინებს მის გამორჩეულობას და ცივილიზებულობის ხარისხს. მხოლოდ ნუსხურად ნაბეჭდი თუ ხელნაწერი ტექსტი ადვილად და მოკლე დროში ღლის თვალს. ქვეცნობიერ დონეზე ხელს უშლის ტექსტის სრულყოფილ აღთქმას, რადგან წინადადების (აზრის) დამთავრებას და ახლის დაწყებას გვატყობინებს მხოლოდ წერტილი. შეუძლებელია ცნობადი, ფართოდ გავრცელებული ორგანიზაციების დასახელებების, ცნებების, მოვლენების, მათში შემავალი სიტყვების პირველი ასოების საშუალებით გასაგები მინიშნებით აბრევიატურების შექმნა. ეს, რა თქმა უნდა, კომპაქტურობასაც უკარგავს ტექსტს. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბუნებისმეტყველო დისციპლინებში განზომილებათა ერთეულების წარმოდგენა მთავრული ასოებით, რადგან ნუსხურით დაწერილი აბრევიატურა ჯერ ერთი „იჩაგრება“ ფორმულების გვერდით და მეორე ქვეცნობიერად არაღქმადია მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის...

კონსტანტინე გამსახურდიას და აკაკი შანიძის არა ერთი მცდელობა ქართული ასომთავრულის მთავრულ ასოებად გამოყენების დასამკვიდრებლად გასულ საუკუნეში უშედეგოდ დასრულდა. ცხადია, რომ მეტროპოლიის პირობებში ასეთი რეფორმა ძნელად განსახორციელებელი იყო იმპერიული ბოლმის გამო. გარდა ამისა, ის მოითხოვდა დამატებით დიდ ფინანსურ დანახარჯებს, რადგან ბეჭდური ტექსტი იწყობოდა ლიტერებით ასოთამწყობების მიერ.

დღეს დამოუკიდებელი საქართველოს და კომპიუტერული ბეჭდვის პირობებში აღნიშნული პრობლემები აღარ არსებობს და საჭიროა მხოლოდ ნება. მით უმეტეს, რომ უმეტესთაგან განსხვავებით არ გვჭირდება რაიმე ახლის გამოგონება. გაგვაჩნია ულამაზესი და უძველესი ასომთავრული ანბანი, რომელიც დადასტურებული ფაქტების თანახმად შვიდი საუკუნით ადრეა შექმნილი მხედრულთან შედარებით.

ბატონი კონსტანტინეს და ბატონი აკაკის ოცნების დროული ასრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი პარლამენტი კანონის სახით მიიღებს გადაწყვეტილებას ქართულ ანბანში მთავრულ ასოებად ქართული ასომთავრულის გამოყენების შესახებ. ამასთან, კანონი უნდა ითვალისწინებდეს ასომთავრული ანბანისა და მისი გამოყენების წესების შესწავლის დაუყოვნებლივ დაწყებას სკოლებში, მათ შორის დამამთავრებელ წელსაც. კანონმა უნდა უზრუნველყოს ნებისმიერი ბეჭდვითი პროდუქციის წარმოება ასომთავრულის გამოყენებით. საჯარო სამსახურში ნებისმიერი თანამშრომლის მიღება უნდა მოხდეს მხოლოდ ასომთავრული ანბანისა და მისი გამოყენების წესების სრულყოფილად ცოდნის შემთხვევაში.



**ვაჟა ჯამარჯაშვილი,**
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი

პოეზია

## დილარ ივარდავა

# გულს მოწყვეტილი სტრიქონები



### ზმანება ბორცვზე

ავირბენ ბორცვზე და...
დავეცემი ბალახზე
გულაღმა,
ოხაჩქუედან იქროლებენ, იწივლებენ
უცვეთი
მოსისინე, მოწამლული ისრები,
დაფარავენ სანახებს,
მომელანდება მონღოლთა თვალები –
წვრილ-წვრილი, ვითარცა ლურსმნები!

ცხენების ჭიხვინ-ფრუტუნი –
ჩამქრალი ვარსკვლავები
და... ცაში მფრთონავ
შენს არწივებს, იბერიავ,
აიტაცებს წუხილი და ქიმერია,
დაგაოსებს მონღოლთა
ველური მხარ-მკლავები!

იბერიავ, ივერიავ!
წარსულის ღიობიდან გხედავ,
გტანჯავს უხსოვარ ბორჯიდან
სისხლის ღვრები, წამება.

მტერი – შხამიანი ამება –
სისხლსა გწოვს, მაინც
გადავრჩით ბედად!
რელიგია, ლოცვები, ხარება,
ძლივს სუნთქავენ ძველი ქოხები,
ველ-მინდვრებზე გაფრენილან
ყვავილთა ჭრელი ნოხები;
სიყვარულში აალებულა
მუხათა ფერხული,
მოისმის წყალვარდნილთა ოხვრანი...
... სიცოცხლის ბოლომდის ვრჩები
შენი ერთგული!

იბერიავ, ივერიავ,
აწი უფრო გაფრთხილდი,
გაიხედე, თავს გესხმიან მსტოვრები,
კაცისმკვლელნი, ფლიდნი,
შინაურნი, გარეულნი
ერთმანეთში არეულნი –
სხვა ჟამის სპარს-სელჯუკნი,
სხვა დროის მონღოლები!

მოაქვთ დროშებად შავი ჯვრები,
შენს ასაოტებლად მოაქვთ–
ამ განზრახვაზე
ისევ ხალხი იყრის ჯავრს,
დიახ, ერთად მოსპობენ
შაოსანთა ჯვარს!
კაცისმკვლელთა ჯარს!

ჯვრები, ჯვრები!
მეტი აღარ შემიძლია,
თვალებიდან ხელს ვიშორებ
და მე ვხედავ ცხადად:
წინაპრების ულაყები მიეძალნენ
ბალახს რძიანს,
წინაპართა სუნთქვა
ავარდნილა ცადა!!!

ფრუტუნებენ ულაყები,
ვერხვები კი
მათ ჭიხვინს უშვერენ ფოთლებს,
ცოცხალნი ვართ, ცოცხლები...
ივერიის ვარსკვლავები
დაგვაქვს მხრებით,
აწ წინაპართ საფლავებს
ნუ შეაშფოთებთ!

### ჩემი ცისფერი მატარებელი

ვითარცა უღრუბლო ზეცა –
მიყვარს ამ ფერის მატარებელი,
ის ოცნებათა მანძილებს კეცავს –
მაშორებს სევდას ადრე შეძენილს.
ჩავლილი დღენი კვლავაც მაღელვებს,
დაუვიწყარი ვინ დამავიწყოს, –
გამოაბესო თითქოს ცას ღელე,
წვიმა იყო თუ
ცრემლთ წარღვნა იყო?!
ოცნებათა და გრძნობათა მიღმა
დიდხანს ვიცხოვრე ორ კედელშუა,
ვეღარ ვიშორებ იმ ოხერ ნიღაბს,
გამობმული ვარ შენს გაბმულ ძუას.
მივეახლები მშობლიურ კუთხეს,
განშორებისთვის გთხოვ პატიებას,
დასაბამიდან ღამეებს ვუთევ
მუდმივ დარდსა და ყვითელ ციებას.
ჩვენს განშორებას ცრემლი ერია,
მაგრამ სხვა რამე ვეღარ შევძელი,
კოლხური ზეცა მშვენიერია,
ჩემი ცისფერი მატარებელი!

### მშობლიური კვამლის

დასავალს მიღმა ჩაცურდა მნათი,
ჩვეულებრივი დღე გაილია,
მინებდა წყნარ და მშვიდ იდილიას
სამყარო და...
მზე ჩაქრა და არ კრთის!
პოეტის ბიუსტს (ოდნავ ბნელოდა),
როცა გამვლელმა შეახო ხელი,
ეტყობა მას აქ არ მოელოდა,
ვითარც ძვირფასი ასულის წერილს –
ერთხანს უყურა წარწერას ჩუმად,
წაუსტვინა და მოსცილდა მერე,
წამსვე სოფლისკენ უწია გულმა,
ეწვია ქოხს და ეზოში ფერებს.
სმენას მოესმა ტყლაშუნი ბორნის,
ენგურს ეტრფოდა ბავშვობის წლიდან;
თქვა:
– მაუკვდავებს აქ ქოხის ბოლიც,
სხვა რამ ბიუსტი მე არცა მინდა!

* * *

ნაწვიმარ ტყეში იფეთქა სოკომ,
წიფლნარს ფესვებზე გაჰყვა ღარივით;
მინდა ამ მიწის მარილი ვლოკო,
მზეს ირმისგვარად შევხვდე ბღავილით!
გზაა კლავნილი,
სულ ოკრო-ბოკრო,
იქ კი – ზეგანზე წვება ლარივით, –
ტკივილს მახსენებს ის ციცქნა გოგო,
სიყმაწვილიდან მწიკვი მარილის!

### გარდუვალობა

დიდო მერმისო,
ნუ მომაშორებ დარდსა და ტკივილს...
ნამარანალი, ნასახლკარი,
უჩუმრად ვქრებით!
შიშაგის წყლიან ნაჩლიქარში
მთვარე რომ კივის –
ჩავარნილა და...
ერჩოლება ჭედილა რქებით!
უღლისკენ ისევ გამწევ ქედით
მიხმობს ლანდური,
შენ კი – სდუმხარ და
თან უყურებ დრო, ვით საშლელი
ყველაფერს შლის და
არც კი მოსჩანს რამე საშველი,
გინდაც იყავი მადლიერი,
გინდ – უმადური!
არავინ უწყის სად მთავრდება
ყოფის სადგური,
კალაპოტიდან სული ღელვით
როდის გადავა;
ხელში აიღე გინდა სკიპტრა,
გინდა აგური,
ამბობენ, თურმე ერთხელ ჰყავის
ქვეყნად აგავა!

### რომ წავალ, დამენანება

მეწამულისფრად ჰყვავის
ჭაობზე მიწამაყვალა,
სულს ღაფავს ალხი ზაფხულის,
ო, მეგობარო, მზეო!
მინდვრად სიყვითლემ იძალა,
ფოთოლცვენის დრო დამდგარა
და ქარს ღრუბლებიააქვს
კავკასის მთების ზემოთ!

მიჭრიალებენ ურმები,
მისჩერებიან ქოხები,
მორევთან აშლილ ალვის ხეს
არ დატყობია დაღლა;
გუგული მომჩივანივით
სივრცეს გაჰკივის – ოხერი,
ან მითხარ რატომ არ ძინავს
თავის ბუდეში ღალღას?!

ამ მიყრუებულ სოფელს
ახალგაზრდები მალე
სიცილ-კისკისით შესძენენ
მკაფიო და ჭრელ ფერებს;
მინდვრად ცქრიალა ქალები
ზეაღაპყრობენ თვალებს,
ღრუბელთა გამრღვევ თვითმფრინავს
თავსაფრებს დაუქნევენ!

ძალზე ვღელავ და განვიცდი,
მომწყურებია სივრცე,
ზეცაში განავარდება
მომინდა ჩემივ ფრთებით,
რაღა ვიღონო მითხარი
გულიც ძალუმად მიცემს,
დედა-სამშობლოვ, ირწმუნე
უშენოდ წამსვე მოვკვდები!

დამენანება მინდორი,
მომენატრება ქოხი,
დამენანება მორევთან,
თმებგაწეწილი ნაძვი,
მომეყურება გუგული
ზეცას რომ ფარავს ოხვრით,
ღალღა, რომელიც კივის და...
მიკეცავს ბორჯთან მანძილს!

### ის გაფრენილი ჩემი დღეები

განმარტოებით ეზოში მდგარი
ბოლოს მივუხდი გონების ჯაფას,
ჩუმად განიხვნა სამყაროს კარი,
როცა პონტოზე გავშალე აფრა!

სად გაფრენილან
ოცნების წლები,
ფრთები – მბორგავი თეთრი გედების,
გავყურებ სივრცეს –
მანდ შეკვრა წრედის
მე სიცოცხლისთვის მეიმედება!

ვიხსენებ სოფელს –
ჩემს ოდის სარკმელს
ვაღებ და ვხვდები დღეებს ქარიანს,
ის გახსენება სიზმრებს არ მაკლებს
და მე არ ვიცი,
რა მიხარია!



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გასამხრეთოსეთებულ სამაჩაბლოს საქართველოსგან მავთულ-ხლართებით გამოყოფენ

**ბრალს სდებენ რუსეთს საერთაშორისო უფლებებისა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 2008 წლის შეთანხმების დარღვევაში**

**საქართველოს ხელისუფლების მონაცემებით, ათობით ოჯახის სახნავ-სათესი ფართობები, რომლებიც ეკუთვნის თბილისის კონტროლქვეშ არსებული ტერიტორიის მცხოვრებლებს, აღმოჩნდებიან მავთულხლართების იქით, რომლებიც გაჰყავთ რუს მესაზღვრეებს რეგიონის საზღვრის გასწვრივ, რეგიონისა, რომლის დამოუკიდებლობასაც ქვეყნების უმრავლესობა არ აღიარებს.**

### „რატომ ხვლანჯავთ მავთულხლართებს?“

**სამხრეთი ოსეთის საზღვართან არსებულ სოფელ დიცის მცხოვრები ილია ბერუაშვილი მზრუნველობით ასუფთავებს თავისი მამის საფლავს. წინაპართა საფლავები მისთვის, ისევე, როგორც ბევრი ქართველისთვის, განსაკუთრებით პატივსაცემი ადგილია.**

მაგრამ მას ეშინია, რომ მალე მიწა, სადაც ოცი წლის წინათ დაკრძალეს მამამისი, აღმოჩნდება სოფლისგან გამოყოფილი მავთულხლართებით.

„სამი-ოთხი დღის წინათ მათ მოიტანეს მილები, რომ ჩაესოთ მიწაში, აღენიშნათ საზღვარი ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთისა, — გვიამბობს იგი. — მივედი მეთაურთან და ვეუბნები: „რატომ არ მიშვებ მივიდე მამაჩემის საფლავთან, რატომ ღობავ აქაურობას? თქვენ რა, არა ხართ ქრისტიანები, თქვენ არ დადიხართ მიცვალებულთა საფლავებზე, თქვენ არ გყავთ მიცვალებულები, დაღუპულები?“.

ახლოს მოსჩანს მიწაში ჩასობილი მილები. ადგილობრივ მცხოვრებთა სიტყვებით, ისინი აქ გაჩნდა რამდენიმე დღის წინათ — ალბათ, იმისთვის, რომ გაჭიმონ მათ შორის მავთულხლართები.



საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის სიტყვებით, „ტერიტორიის დაკანონება“ მავთულხლართების ზღუდეებით ხორციელდება სამხრეთ ოსეთთან საზღვრის გასწვრივ 22-25 კილომეტრის სიგრძეზე.

ამ დროს „საოკუპაციო ხაზი “, ასე უწოდებენ მას საქართველოში, სხვადასხვა მონაკვეთზე გადმოწეულია თბილისის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ათობითი და ზოგან ასობითი მეტრით, აქა-იქ კვეთენ მიწის ნაკვეთებსაც, რომლებიც ეკუთვნის მახლობლად მცხოვრებ ხალხს.

მაგრამ გამოყოფილი რეგიონის ხელისუფლება აცხადებს, რომ რუსი მესაზღვრეების მოქმედებები არ ეხება საქართველოს სუვერენიტეტს, და აღნიშნავენ, რომ რუს მესაზღვრეებს არ განუხორციელებინათ „თვითნებური გადატანები“.

### „ჩვენ ბევრი რამ დავკარგეთ“

**საქართველოს სიღრმეში „საოკუპაციო ხაზის“ გადმოტანა საუბრების ერთ-ერთი მთავარი თემაა ეგრეთ წოდებულ „ბირჟაზე“ — ადგილზე, სადაც სოფელ დვანში განიხილავენ უკანასკნელ ცნობებს, რომლებიც შეეხება უკანასკნელ დღეებში მომხდარ ახალ-ახალ ამბებს რუსი მესაზღვრეების მოქმედებასთან დაკავშირებით.**

სოფლის მცხოვრებთა სიტყვებით, მთავარი პრობლემა — ეს არის სარწყავი წყალი. მათ ეშინიათ, რომ წყლით მომარაგების პრობლემა მხოლოდ გაუარესდება, ვინაიდან, მათი სიტყვებით, იმ ღობურების იქით, რომლებიც რუსმა მესაზღვრეებმა დააყენეს, აღმოჩნდა სარწყავი არხის სათავე ნაგებობა.

ახალი ზღუდეების იქით არის დვანის მცხოვრების დემურ კოკოშვილის პატარა მონაკვეთიც.

„რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ჩვენ იქ ძნელად შევდივართ, აი, უკანასკნელ პერიოდში კი მათ დააყენეს მავთულები და იქით ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია გასვლა“, — ჩივის იგი.

სოფლის მცხოვრებთა სიტყვებით, დღესაც, აგვისტოს ომიდან ოთხზე მეტი წლის შემდეგ, ისინი თავს მშვიდად ვერ გრძნობენ.

### „შეჩერდი, გესვრი!“

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა სიტყვებით, თბილისი ძალ-ღონეს არ იშურებს საერთაშორისო გაერთიანების ინფორმირებისთვის მომხდარის შესახებ.**

საქართველოში ევროსაბჭოს მეთვალყურეთა მისიამ უკვე განაცხადა, რომ დაბრკოლებათა დაყენება სოფელ დიცში ნეგატიურად აისახება ადგილობრივ მოსახლეობაზე.

„ადგილობრივ მცხოვრებთა გადაადგილების თავისუფლება იმ რაიონებში, რომლებიც ესაზღვრება ადმინისტრაციულ საზღვარს, დიდ პრობლემად იქცა. ღობურების დაყენებამ დიდად გააუარესა ცხოვრების პირობები იმ ხალხისა, ვისაც ჰყოფს ეს ზღუდეები. ეს მიუღებელია“, — განაცხადა მისიის ხელმძღვანელმა ანჯეი ტიშკევიჩმა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ჯენ პსაკინმაც განაცხადა, რომ იზიარებს საქართველოს შეშფოთებას, ვინაიდან ეს ღობურები ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამართალსა და 2008 წელს ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას.

ილია ბერუაშვილის სიტყვებით, რუსი მესაზღვრეები გახდნენ განსაკუთრებით აგრესიულები მას შემდეგ, რაც დაიწყეს ახალი სასაზღვრო სიმაგრეების აგება.

„ამ ცოტა ხნის წინათ მივდიოდი იქ, სადაც ახლა საზღვარს აკეთებენ, და ერთი რუსი ჯარისკაცი გამოვიდა ბუჩქებიდან, გადამიკეტა გზა და ავტომატი მომიშვირა: „შეჩერდი!“, — ამბობს. გავიარე კიდევ ათი მეტრი და ამ დროს მოდიან მეთვალყურეები, მე უნდა მეჩვენებინა მათთვის სასაფლაო. მათ დაიწყეს ფოტოზე ჩემი გადაღება და ეს ჯარისკაცი კვლავ ბუჩქებში შეძვრა“, — გვიამბობს სოფელ დიცის მცხოვრები.

მის თანასოფლელ როსტომ სოსიაშვილს კი ნაკლებად გაუმართლა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ის დააკავეს იმ მომენტში, როდესაც რუსი მესაზღვრეების დანახვისას შეეცადა გაეფრთხილებინა ამის შესახებ მწყემსი მოზარდები.

### დისკუსიაში ჩათრევა

**საქართველოს რეინტეგრაციის მინისტრი პაატა ზაქარეიშვილი მიიჩნევს, რომ რუსი მესაზღვრეების მოქმედებები — ეს არის რუსეთის რეაქცია ახალი ხელისუფლების პოლიტიკაზე გამოყოფილ რეგიონებთან დაკავშირებით.**

მისი სიტყვებით, თბილისში ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გამოყოფილი რეგიონის მოსახლეობამ თავისუფლად დაიწყო საქართველოში ჩამოსვლა ვაჭრობისთვის, მკურნალობისთვის ან უბრალოდ ნათესავების მონახულებისთვის.

„ეს საინჟინრო ნაგებობები, უწინარეს ყოვლისა, ოსი მოსახლეობის წინააღმდეგაა მიმართული... ეს არის მთავარი მიზეზი, თუ ყოველივე ეს რატომ ხდება ახლა. ეს იმის აღიარებაა, რომ საქართველოს მთავრობამ მართლაც დაიწყო ახალი პოლიტიკა შერიგებისა და მშვიდობიანი პროცესის მიმართულებით. და, ეს როგორ ცინიკურადაც არ უნდა ჟღერდეს, არის იმის აღიარება, რომ სიტუაცია შეიცვალა არა რუსეთის სასარგებლოდ“, — განაცხადა ზაქარეიშვილმა ჩვენთან ინტერვიუში.

მინისტრს მიაჩნია, რომ რუსეთელთა მოქმედების მიზანი პირობით საზღვარზე არის მისწრაფება ჩაითრიონ საქართველო მოლაპარაკებაში იმის შესახებ, თუ სად გადის „საოკუპაციო ხაზი“.

„ასეთ მოლაპარაკებათა ნებისმიერ ფორმას შეეძლო მოეხდინა მათი ყოფნის ლეგალიზება, — ხაზგასმით აღნიშნა ზაქარეიშვილმა ჩვენთან ინტერვიუში. — ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ დავეთანხმებით ამას. ნებისმიერი მონაკვეთი საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც დგანან რუსეთის ჯარები, კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის თანახმად, არის ოკუპირებული ტერიტორიები“.

ამ დროს, პაატა ზაქარეიშვილის სიტყვებით, დაახლოებით 80-მა ოჯახმა უკვე იზარალა სამუშაოსთან დაკავშირებით გამოყოფილი რეგიონის შეზღუდვის გამო.

### „კვლავ ძველი ტექნოლოგიები მოქმედებს“

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილმა, როდესაც კომენტარს უკეთებდა სიტუაციას ეგრეთ წოდებული საზღვრის შესახებ, გამოთქვა იმედი, რომ მომხდარი მხოლოდ გაუგებრობაა.**

„ზედმეტი ისტერიკები არ უნდა იყოს ამ პროცესთან დაკავშირებით, ჯერ გავიგებთ, თუ საიდან მოდის ეს და რატომ მოდის. ვფიქრობ, რომ უახლოეს პერიოდში ეს პროცესები მოწესრიგდება, ამის იმედი მაქვს“, — განაცხადა ივანიშვილმა.

თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს სტატს-მდივანმა და ხელმძღვანელის მოადგილემ გრიგორი კარასინმა განაცხადა, რომ ყველაფერი, რასაც რუსი მესაზღვრეები აკეთებენ, რომლებიც სამხრეთი ოსეთის ტერიტორიაზე იმყოფებიან, კეთდება ქვეყნის ხელისუფლების პირდაპირი მითითებით, ვინაიდან ისინი იმყოფებიან იქ ორმხრივი სახელმწიფო შეთანხმების თანახმად.

ამ დროს, მისი სიტყვებით, მომავალ შეხვედრაზე საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელთან რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძესთან რუსი მესაზღვრეების მოქმედებათა განხილვა არ მოხდება, ვინაიდან მოლაპარაკებაში ისინი არასოდეს ეხებიან თემებს, რომლებიც დაკავშირებულია საქართველოსგან გამოყოფილ რეგიონებთან.

პოლიტოლოგების სიტყვებით, რუსეთის მოქმედება მიუთითებს იმაზე, რომ მოსკოვი არ არის დაინტერესებული და არც აპირებს დაიკავოს კონსტრუქციული პოზიცია საქართველოსთან დამოკიდებულებაში.

თბილისის გეოპოლიტიკური კვლევის ცენტრის თავმჯდომარე თენგიზ ფხალაძე მიიჩნევს, რომ „საზღვრის“ გადატანა მიზნად ისახავს თბილისის პროვოცირებას ემოციურ მოქმედებებზე.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**საგანგებო შემთხვევა ყირგიზეთში: ომონმა ოქროს მაღაროსთვის ბრძოლაში ამბოხებული მცხოვრებლების წინააღმდეგ იარაღი და ყუმბარები გამოიყენა**

მილიციამ ათობით მომიტინგე დააკავა, რომლებიც 30 მაისის ღამით იყვნენ მაღაროს მახლობლად, აგრეთვე რამდენიმე ათეული მჯდომარე გაფიცვის მონაწილე, რომლებსაც მაღაროსკენ მიმავალი გზა ჰქონდათ გადაკეტილი. აქტივისტები დაშალეს გაზით, ხელკეტებითა და რეზინის ტყვიებით. ორივე მხრიდან 30 კაცი დაზარალდა. შეტაკების შემდეგ კვლავ ელოდებიან გამწვავებას.

* * *

**პოლონსკიმ თავისი გაქრობის სამი ვერსია წარმოაჩინა და აიძულა ბრიტანელები განემარტათ, თუ ვინ არის „ჩუხანი“**



ბანკირმა ლებედევმა, რომელსაც პოლონსკისთან ჩხუბისთვის ასამართლებენ, განაცხადა წარმატების შესახებ დაზარალებულის ძებნაში: ის მზად არის დაასახელოს მისამართი, სადაც შეიძლება მოინახოს კამბოჯის უკანონოდ დამტოვებელი რუსეთელი. თავად პოლონსკი დიდად არ ფრთხილობს: აქვეყნებს ფოტოებს, რომლებიც არ ადასტურებენ ადვოკატების ვერსიას მისი ჰოსპიტალიზაციის შესახებ.

* * *

**სირიაში მაკკეინის ვიზიტის შემდეგ იქ მოკლეს ამერიკელი ქალი და ბრიტანელები, რომლებიც ასადის წინააღმდეგ იბრძოდნენ**



დაღუპულთა შორისაა ამერიკის შეერთებული შტატების 33 წლის მოქალაქე ქალბატონი ნიკოლ მემსფილდი და ორი მამაკაცი, ერთ-ერთი მათგანი დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომი უნდა იყოს. მათ აღმოუჩინეს იარაღი, საბრძოლო მასალები და ტერორისტული დაჯგუფების დროშა. მოკლული ამერიკელი ქალის ნათესავების სიტყვებით, დაახლოებით ხუთი წლის წინათ ნიკოლი გათხოვდა არაბ ემიგრანტზე და მიიღო ისლამი.

* * *

**ასადმა რუსეთი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა: მოსკოვიდან ანონიმურად განმარტეს, თუ ს-300 მას რატომ არ დაეხმარება**

რუსეთის ფედერაცია მთავარ ფსონს სირიის მოწესრიგების ძიებაში აკეთებს ჟენევაში საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელიც ჩაფიქრებულია ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, და ახლა რუსეთს მოუწევს უპასუხოს დასავლეთის ახალ ბრალდებებს მცდელობაში — შეინარჩუნოს ასადი ხელისუფლებაში ნებისმიერ ფასად.





PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

# წლები, რომლებიც მუდამ შენთან არის

— ვიცი ამ სტატიის შესახებ და მან საკადრისი პასუხიც მიიღო, — თქვა ადლეიბამ, შემდეგ ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და თქვა, — ამის გაკეთება თუნდაც იმიტომაა საჭირო, რომ მე საკუთარ თავთან ვიყო მართალი.

მდა... ადლეიბა უკვე ის კაცი აღარ იყო, მე რომ ვიცნობდი.

— ბორის ვიქტორის ძევ, ვიცი რომ ჩემი სატელეფონო ზარი გამსახურდიას გააღიზიანებს, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ თქვენს აზრს მას აუცილებლად გადავცემ.

ეს იყო ჩემი უკანასკნელი შეხვედრა კაცთან, რომელთანაც გარდა სამსახურისა, ბევრი ადამიანური რამ მაკავშირებდა. იმ შეხვედრიდან რამდენიმე თვეში იგი მოულოდნელად გარდაიცვალა. ვწუხვარ, რომ მის დასაფლავებას ვერ ჩავუსწარი.

... ოჩამჩირიდან წამოსული, გივი ლომინაძეს დილაადრიან მივადექი სახლში... ორივემ ვიცოდით, რომ ჩვენი სატელეფონო ზარი გააღიზიანებდა გამსახურდიას, მირჩია კიდევაც „ნუ ჩავერევით მაგ საქმეშიო"... მაგრამ მე გავჯიუტდი.

— ვალდებული ვარ ადლეიბას დანაბარები გადავცე, — ვუთხარი ლომინაძეს. სესიის დაწყებას ნახევარი საათი უკლდა, როდესაც ზვიადთან დაკავშირება შევძელით. ჩვენს ზარს იგი გაღიზიანებით შეხვდა: — ნუთუ ვეღარ გაიგეთ, რომ თქვენი და ადლეიბას აზრი აღარავის აინტერესებს! — გვითხრა და სესიაზე დასწრებაც კი აგვიკრძალა — უთქვენოდაც გაარკვევენ!

მიუხედავად ამისა, სესიაზე მაინც წავედი და ჩემს თანამოაზრეებთან ერთად მესამე რიგში, ტრიბუნის სიახლოვეს დავჯექი.

სესია ოზგანმა გახსნა. მან თქვა, რომ დღის წესრიგში მხოლოდ ერთი საკითხია — აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის არჩევა და სიტყვა უხუცეს აფხაზ დეპუტატს მისცა, რომელმაც პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე არძინბა დაასახელა. როდესაც „გაარკვიეს", რომ სხვა კანდიდატურა არ იყო, შემოვიდა წინადადება ღია კენჭისყრის ჩატარების შესახებ.

— ვინაა მომხრე, ვლადისლავ არძინბა არჩეულ იქნას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ?

შემდეგ ოზგანმა თვალი დარბაზს გადაავლო და იკითხა, წინააღმდეგი ხომ არავინ არისო.

— ჩვენ ვართ წინააღმდეგი! — ხმამაღლა ვთქვი და ფეხზე წამოვდექი. ჩემს წინადადებას ხელის აწევით მხარი დაუჭირეს ზუხბაიამ, აბაშიძემ და მეძმარიაშვილმა.

— ჰოო, ოთხი დეპუტატი წინააღმდეგია... ნაპოლეონ ირაკლის ძევ, თქვენი პოზიცია დაფიქსირებულია, რა საჭიროა ფეხზე წამოხტომა? მომეჩვენა, რომ სიტყვა „წამოხტომა" შეურაცხმყოფელი იყო (ალბათ, მეც მიზეზს ვეძებდი...).

— კონსტანტინ კონსტანტინეს ძევ, მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ და ავდექი, რომ დავასაბუთო თუ რატომ ვარ წინააღმდეგი! — ვთქვი და ტრიბუნისკენ წავედი.

— არ გინდა, — ხმადაბლა მითხრა ზუხბაიამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო...

ჩემმა რეპლიკამ წასასვლელად გამზადებული დეპუტატები უკან მოაბრუნა.

— თქვენ აფხაზეთის საქმეებს აღარავინ გეკითხებათ, — წამოიყვირა ვიღაცამ და მას სხვებიც აჰყვნენ, დარბაზში მუქარის ხმები გაისმა.

— ნაპოლეონ ირაკლის ძევ, იქნებ არ ღირდეს, — მომესმა ოზგანის ხმა. მაგრამ მე უკვე ტრიბუნაზე ვიდექი და, ცხადია, ჩამოსვლას არ ვაპირებდი.

— შეიძლება დავიწყო?

— გისმენთ ნაპოლეონ ირაკლის ძევ, გისმენთ, — თქვა ოზგანმა.

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

როგორღაც შევძელი მღელვარების დაოკება, ჭიქიდან წყალი მოვსვი და დავიწყე:

— ამხანაგო დეპუტატებო, დღეს როგორც არასოდეს საჭიროა ბრძნული, გონივრული გადაწყვეტილებების მიღება, ჩვენ არა გვაქვს შეცდომების დაშვების უფლება, დღევანდელ ჩვენს არჩევანზე იქნება დამოკიდებული აფხაზეთის მომავალი და არა მარტო მისი... პოლიტიკური სიტუაცია, რომელიც არსებობს აფხაზეთსა და საქართველოში, თავად გვიკარნახებს, რომ ჩვენი გადაწყვეტილებები უნდა იყოს ოპტიმალური. დღევანდელ რთულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში აფხაზეთს ჭირდება პოლიტიკურად ღრმად განსწავლული, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებში კარგად ჩახედული ხელმძღვანელი, ადამიანი, რომელსაც კარგად იცნობენ აფხაზეთში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენლები, სარგებლობს დამსახურებული ავტორიტეტით და შეძლებს ადამიანების მობილიზებას სასიკეთო საქმეებისკენ... პროფესორი არძინბა, უდავოდ კარგი მეცნიერია და დამსახურებული ავტორიტეტითაც სარგებლობს სამეცნიერო და აკადემიურ წრეებში... რაც შეეხება მას, როგორც პოლიტიკოსს, ჩვენ არ ვიცნობთ იმიტომ, რომ არასოდეს ეკავა პოლიტიკური თანამდებობები. მის პოლიტიკოსად ჩამოყალიბებას დიდი დრო დასჭირდება, რომელიც სამწუხაროდ, არა გვაქვს. მე მისი, როგორც პიროვნების წინააღმდეგ კი არ გამოვდივარ, არამედ მის პოლიტიკურ ლიდერად არჩევას ვეწინააღმდეგები და ა.შ.

დარბაზში ისევ ატყდა სტვენა და ღრიალი, „ჩამოაგდეთ ტრიბუნიდან", „გააძევეთ დარბაზიდან". და ჩემთვის უცნობი ადამიანები ტრიბუნისკენაც კი დაიძრნენ. ქართველმა დეპუტატებმა ტრიბუნას რკალი შემოარტყეს.

— კონსტანტინ კონსტანტინეს ძევ, რატომ არიან უცხო ადამიანები დარბაზში და რატომ არ მაძლევენ მე — უმაღლესი საბჭოს დეპუტატს, სიტყვის დამთავრების საშუალებას?!

ოზგანმა შესვენება გამოაცხადა. დაიწყეს დარბაზიდან აღგზნებული ადამიანების გაყვანა (როგორც შემდეგ გაირკვა, ისინი „აიდგილარას" აქტივისტები იყვნენ).

— ნაპოლეონ, დაამთავრე, — ჩამჩურჩულა ლომინაძემ, მაგრამ მე ტრიბუნის დატოვებას არ ვაპირებდი. როდესაც დარბაზში მუშა მდგომარეობა აღდგა, მომესმა ოზგანის ხმა.

— გთხოვთ გააგრძელოთ...

მე მისკენ მივბრუნდი, შემდეგ დარბაზისკენ შემოვბრუნდი და დინჯად ვთქვი:

— მე ჩემი სათქმელი უკვე ვთქვი, თუმცა, ვიცი, რომ ამით არაფერი შეიცვლება.

სესიის შემდეგ ბიჭვინთაში წავედით. საღამოს ბორის ხუხიას სახლში ვივახშმეთ და გვიან ღამით, ლომინაძის მიერ დანიშნულ დაცვასთან ერთად, სახლში დავბრუნდი. წყნარი საღამო იყო, დაცვის ბიჭებს მადლობა ვუთხარი და დავითხოვე.

სამწუხაროდ, შუაღამისას აფხაზმა ექსტრემისტებმა ჩემი ბინის ხის კარი ავტომატით დაცხრილეს და რომ არა ტელეფონის გრძელი ზონარი, რომელსაც ზარის ხმაზე დერეფანში გასულმა, ფეხი წამოვდე და წავიქეცი, კარზე ნასროლი ათიოდე ტყვიიდან, ერთი მაინც მომხვდებოდა.

გმირობაზე პრეტენზია არასოდეს მქონია, მაგრამ იმ დღეს აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს სესიაზე გამოსვლა გმირობა თუ არა, სიმამაცე მაინც იყო. თუ რატომ გავიხსენე ეს მივიწყებული ეპიზოდი, მკითხველი თავად მიხვდება.



ქართული დელეგაცია იუნესკოს გენერალურ კონფერენციაზე: გ.ქარქაშაძე, ნ.ქარქაშაძე, რ.მეტრეველი, ა.კარტოზია, გ.ჩოგოვაძე. პარიზი 2000 წელი.

აფხაზეთში იმის შემდეგ მხოლოდ ერთხელ მომიწია ჩასვლა. ეს იყო ომის დაწყებამდე რამდენიმე კვირით ადრე. შევხვდი აფხაზეთის ქართულ დეპუტაციას, ქართულ გასამხედროებულ ფორმირებას, ხანგრძლივი საუბარი მქონდა ანქვაბთან (არ მახსოვს, მაშინ რა თანამდებობა ეკავა) და ნახევარსაათიანი შეხვედრა მქონდა არძინბასთან, რომელმაც ძალიან თავაზიანად და ხაზგასმული პატივისცემით მიმიღო. შეხვედრასთან დაკავშირებით ედუარდ შევარდნაძის სახელზე დავწერე მოხსენებითი ბარათი, რომელშიც აფხაზური პრობლემები სამ ჯგუფად დავყავი: პირველი — რომელთა გადაწყვეტა უკვე შესაძლებელია, მეორე — რომელზეც შეიძლება მოლაპარაკება და მესამე — რომლებსაც ჯერჯერობით არ უნდა შევეხოთ.

მოხსენებითი ბარათი გადავეცი ლევან ალექსიძეს, რომელიც უკვე შევარდნაძის თანაშემწედ მუშაობდა (ისევ ლ. ალექსიძე!), მაგრამ პასუხი არ მიმიღია... 1999 წელს, როდესაც ე.შევარდნაძე აგრარული უნივერსიტეტის 70 წლისთავის იუბილეზე გვესტუმრა, ვკითხე მოხსენებითი ბარათის შესახებ. არ მიმიღიაო, მიპასუხა...

## ახალი ხელისუფლება

კომუნისტური რეჟიმი უკვე „სულს ღაფავდა", როდესაც 1990 წლის ივლისში სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორად ამირჩიეს. ეს ის დროა, სახელმწიფო დაწესებულებებში ჯერ კიდევ კომუნისტები რომ სხედან, მაგრამ გადაწყვეტილებებს სხვები იღებენ. „სხვები" კი იარაღასხმული, წვერმოშვებული ახალგაზრდები არიან, რომელთათვისაც ღიაა ნებისმიერი თანამდებობის პირის კაბინეტის კარი.

ერთი სიტყვით, საქართველოში კლასიკური ორხელისუფლებიანობა იყო დამყარებული... და მეც, რექტორად არჩევის შემდეგ საკუთარი ბრძანებით, თავადვე მოვახდინე საკუთარი თავის ლეგიტიმაცია...

იმდროინდელი თბილისი ქუჩის ქალაქს დაემსგავსა. ადამიანებმა საქმეს თავი დაანებეს და „რაღაცის მოლოდინში", პარლამენტის წინ გამართულ მიტინგებს ესწრებოდნენ.

ქუჩაში იყვნენ გამოსული: მწერლები, მეცნიერები, არტისტები, მხატვრები, სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები. ერთი სიტყვით, ყველა... და?! მათ შორის მაღალი რანგის პარტიული ფუნქციონერებიც... ისინიც მოუთმენლად ელოდნენ კომუნისტური იმპერიის დამხობას (მკითხველო, ხომ არ გაგიკვირდა?)!!!

ამ დროს მიკროფონთან 20-25 წლის ახალგაზრდები აქტიურობდნენ და როგორც მესიები, ისე მოძღვრავდნენ ხალხს, რომლებიც მათ ტაშითა და გუგუნით ამხნევებდა.

საქართველოში ყვარყვარიზმი მკვიდრდებოდა და ამას საზოგადოება აღტაცებით ხვდებოდა. „ესენი ყველაფერს შეძლებენ", „ააშენებენ ქვეყანას" — ყვიროდნენ ქუჩებში. „შეძლეს" კიდევაც, მაგალითად, 1990 წლის მისაღები გამოცდების დროს! დამფრთხალ ხელისუფლებას მიაღებინეს გადაწყვეტილება და სამედიცინო ინსტიტუტში ჩარიცხეს ყველა აბიტურიენტი, ვისაც ამისი სურვილი ჰქონდა!!! „სასოფლო" კი, ალბათ, იმან „გადაარჩინა", რომ თბილისიდან მოშორებით, მე-13 კილომეტრზე ვიყავით განთავსებული...

1990 წლის ნოემბრის არჩევნებით ხელისუფლებაში ზვიად გამსახურდიას კოალიცია „მრგვალი მაგიდა" მოვიდა და ორხელისუფლებიანობაც დასრულდა. ხალხმა შვებით ამოისუნთქა — „გვეშველა"!!!

ახალი პარლამენტი ხალხმა მოიწონა, მთავრობაშიც ბევრი პროფესიონალი გამოჩნდა, რექტორებიც დაფასებულები ვიყავით, ერთი სიტყვით, ადამიანებს იმედი ჩაესახათ, რომ „ესენი ქვეყანას არ არევდნენ და საქმესაც გააკეთებდნენ".

სწორედ ამ პერიოდში, „სასოფლო" აგრარულ უნივერსიტეტად გადაკეთდა. საზეიმო სხდომას, თითქმის მთელი მთავრობა ესწრებოდა. ახალმა ხელისუფლებამ აღადგინა ხრუშჩოვის მიერ გაუქმებული სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია და დაუბრუნდა მას სახელმწიფო სტატუსი, აგრარულ უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ორი სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი, პრობლემური ლაბორატორიები და სხვ.

რექტორებს ორჯერ გვქონდა საქმიანი შეხვედრა ზ. გამსახურდიასთან, და საერთოდ, სამთავრობო სტრუქტურების ყველა კარიც ჩვენთვის ღია იყო... ერთი სიტყვით, „საქმეს კარგი პირი უჩანდა".

როდესაც ადამიანებმა იწამეს, რომ საქართველო სწორი გზით ვითარდებოდა, სწორედ მაშინ დატრიალდა „ის ცოდვის კალო", რომელმაც ქვეყანა სამოქალაქო ომში ჩაითრია.

რამდენიმე თვეში, ზვიად გამსახურდიამ ჯერ პარლამენტიდან, შემდეგ მთავრობიდანაც გამოაძევა კომუნისტები. პარლამენტში დარჩენილებმა კი... ერთმანეთში დაიწყეს „საქმის გარჩევა", რასაც „მრგვალი მაგიდის" დაშლა მოჰყვა. პრეზიდენტს განუდგა პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, გენერალური პროკურორი, პარლამენტის კომისიების თავმჯდომარეები. გააქტიურდნენ პარლამენტის გარეთ დარჩენილი პოლიტიკური პარტიები და ჯგუფები, საზოგადოება დაიყო „ზვიადისტებად" და „არაზვიადისტებად"...

საზოგადოების დაპირისპირებამ უნივერსიტეტებშიც შემოაღწია. მოქიშპე მხარეები ცდილობდნენ სტუდენტების „თავიანთ მხარეზე" გადაბირებას. დაიწყო უმაღლესი სკოლების ხელმძღვანელებზე ზეწოლა, აშკარად გვაგრძნობინებდნენ, რომ „ჩვენ მათ აღარ ვჭირდებოდით"... საუნივერსიტეტო ავტონომიებზე აპელირება კომიკურ ხასიათს იღებდა. ამ საკითხების გასარკვევად, ოთხი წამყვანი უნივერსიტეტის რექტორებმა, მოვახერხეთ გამსახურდიასთან შეხვედრა... რომელიც ისე დამთავრდა, რომ მას ჩვენთვის არც კი შემოუხედავს. საქმე იქამდე მივიდა, რომ სამედიცინო ინსტიტუტის რექტორს, ცნობილ მეცნიერს, სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანება კაბინეტში დაახვედრეს ისე, რომ არავის გაუფრთხილებია.

მალე გაირკვა, რომ ხელისუფლებას რექტორების სამსახურიდან „წყნარად" გაშვება უკვე აღარ აწყობდა, მას სენსაცია სჭირდებოდა და ამისთვის საზოგადოებრივი ტელევიზიის პირველ არხზე შექმნა გადაცემა რუბრიკით: „უმაღლესი სკოლა", რომლის წამყვანად მოგვევლინა უზენაესი საბჭოს მეცნიერებისა და განათლების კომისიის თავმჯდომარე, ახალი ხელისუფლების იდეოლოგი თემურ ქორიძე, რომელიც გამოცდილი ორატორი და პოლემისტი იყო.

პირველ გადაცემაში საპაექროდ, მან ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი მიიწვია.



სტუდიაში კომიკური სიტუაცია შეიქმნა. ერთ მხარეს იჯდა გემოვნებით ჩაცმული, წარმოსადეგი, სამეცნიერო წოდებებითა და ხარისხებით დახუნძლული ცნობილი მეცნიერი, ხოლო მეორე მხარეს, ლიტერატურის ინსტიტუტის არშემდგარი მეცნიერ-მუშაკი, რომელსაც ზურგს სახელისუფლებო სკამი უმაგრებდა და რომლის მიზანიც სახელგანთქმული მეცნიერის გაბიაბრუება იყო...

**ნაპოლეონ ქარქაშაძე**

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 93-100

კრივი

# ხვალიდან – ქუთაისის რინგზე



**2-4 ივნისს ქუთაისის სპორტის სასახლე ახალგაზრდებს შორის აკაკი კაკაურიძის სახელობის საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლებს, რომელშიც მონაწილეობას საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანის, თურქეთის, სომხეთის და უკრაინის ახალგაზრდა მოკრივეები მიიღებენ.**

2 და 3 ივნისს შეჯიბრებები 13 საათზე დაიწყება, ტურნირის დასკვნით დღეს – 4 ივნისს კი გულშემატკივრებს ფინალური ორთაბრძოლების ნახვის საშუალება 12 საათიდან ექნებათ. ჩემპიონ-პრიზიორები 10 წონით კატეგორიაში გამოვლინდებიან.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები, რომელსაც კუკური შავგულიძე წვრთნის, შეჯიბრების დასრულების შემდეგ მზადებას გააგრძელებს და 17 ივნისს კიევში ვიტალი კლიჩკოს სახელობის საერთაშორისო ტურნირზე გამოსასვლელად გაემგზავრება.

**მანუჩარ გიორგაძე**

ფეხბურთი

# ეროვნულ ნაკრებს „ავივაზე“ ქართველი გულშემატკივრები გაამხნევებენ

**საქართველოს ეროვნულმა საფეხბურთო ნაკრებმა პირველი ვარჯიში დუბლინში გუშინ საღამოს ჩაატარა. ირლანდიის დედაქალაქში გუნდის 23-კაციანმა შემადგენლობამ მოედანზე 90 წუთი გაატარა. თემურ ქეცბაიამ Wayside Celtic-ზე ფეხბურთელები სრული დატვირთვით ავარჯიშა. ირლანდიაში მყოფი ყველა მოთამაშე ჯანმრთელადაა და ხვალინდელი ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. დუბლინში საქართველოს ნაკრების პირველ ვარჯიშს ირლანდიის სხვადასხვა ქალაქებში მცხოვრები ოცამდე ქართველი გულშემატკივარი დაესწრო. მოახლოებულ შეხვედრაში საქართველოს ეროვნულ გუნდს ირლანდიის მთავარ სპორტულ არენაზე რამდენიმე ასეული ქართველი ქომაგი გაამხნევებს.**

ვარჯიშის შემდეგ სფფ-ის ოფიციალურ ვებ-გვერდთან კომენტარები გააკეთეს ნაკრების ფეხბურთელებმა.

**ზურაბ ხიზანიშვილი:** „ჩვეულებრივი მოლოდინი გვაქვს. ამხანაგური თამაში კია, მაგრამ ვიცით, ჩვენი მეტოქე რა ძალასაც წარმოადგენს. ვუყურეთ ინგლისისა და ირლანდიის ამხანაგურ თამაშს. ლონგი, რომელმაც ინგლისელებს გოლი გაუტანა, ჩემი ყოფილი თანაგუნდელია. რობი კინთან ერთად ის ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშეა. ძალიან რთული ბრძოლა იქნება, თუმცა, ძალიან საინტერესო. ასეთ გუნდებთან მატჩი განსაკუთრებით იმ




ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოადგებათ, რომლებიც ჩვენს ნაკრებში თამაშობენ.“

**ირაკლი მაისურაძე:** „ყველამ კარგად იცის, თუ როგორი ძლიერი ნაკრებია ირლანდია. ინგლისი-ირლანდიის მატჩი ვნახეთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, რომ საკმაოდ მაღალი დონის, ბრძოლისუნარიანი გუნდია. რთული თამაში გველის, მაგრამ იმედი მაქვს კარგი სანახაობა იქნება. თან, ევროპაში ერთ-ერთ საუკეთესო სტადიონზე უნდა ვითამაშოთ...“

დღეს თემურ ქეცბაიას გუნდი „ავივას“ სტადიონზე მატჩისწინა ოფიციალურ ვარჯიშს ჩაატარებს, ირლანდიასა და საქართველოს შორის მატჩი კი, ხვალ თბილისის დროით 20:30 წუთზე დაიწყება. შეხვედრის ტელერეპორტაჟს საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხი პირდაპირ ეთერში შემოგთავაზებთ.

**გიორგი შოთაძე**

მოზაიკა

# ბეკენბაუერი: რობენის რწმენა დაკარგული მქონდა



**მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა ფრანც ბეკენბაუერი „ბაიერნის“ მიერ ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ რამდენიმე ეპიზოდის გაფუჭების შემდეგ მან არიენ რობენის რწმენა დაკარგა.**

შეგახსენებთ, რომ „დორტმუნდთან“ გამართულ მატჩში ჰოლანდიელმა გოლის გატანის რამდენიმე კარგი შანსი გააფუჭა, მაგრამ მე-2 ტაიმში ჯერ საგოლე გადაცემა გააკეთა, შემდეგ კი თავადაც გაიტანა და გუნდს ჩემპიონთა თასი მოაგებინა.

„როდესაც რობენმა რამდენიმე შანსი ვერ გამოიყენა, მისი რწმენა დავკარგე, თუმცა ჰოლანდიელმა თავი ხელში აიყვანა და თამაშის ერთ-ერთ გმირად იქცა.“ – აცხადებს გერმანელი, რომელიც კომენტარს მეტოქეზეც აკეთებს: „დორტმუნდმა“ „ბაიერნს“ თავისი ჩვეული ფეხბურთის ჩვენების საშუალება არ მისცა. ეს ნამდვილად მეტოქის დამსახურებაა, მაგრამ „ბაიერნმა“ მოიგო, რითიც ფეხბურთელებმა დაამტკიცეს, რომ მათ სხვაგვარად თამაშიც შეუძლიათ“.

# საოცარი დამთხვევები ევროფინალებში

**ალბათ, ფოტოდანაც ნათლად ჩანს, რა დამთხვევებზეა საუბარი, მაგრამ მოკლე განმარტება მაინც გავაკეთოთ: უეფას ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის 2012-2013 წლების სეზონის ფინალებში, გარდა იმისა, რომ ერთნაირი ანგარიშები დაფიქსირდა, გოლებიც თითქმის ერთსა და იმავე დროს გავიდა.**

ევროპის ლიგის ფინალში ლონდონის „ჩელსი“ ლისაბონის „ბენფიკას“ სტუმრის სტატუსით დაუპირისპირდა, ისევე როგორც მიუნხენის „ბაიერნი“ „დორტმუნდს“. ორივე შეხვედრაში ტაბლოზე 1:2 დაფიქსირდა. „სტუმრებმა“ ორივე მატჩში ანგარიში მე-60 წუთზე გახსნეს, „მასპინძლებმა“ კი 68-ე წუთზე გაათანაბრეს. თანაც, ორივე მათგანმა თერთმეტმეტრიანი დარტყმით (!).

მცირე „უზუსტობა“ მოხდა მატჩების მიწურულს – არიენ რობენმა „ბაიერნს“ 89-ე წუთზე მოაგებინა, ბრანისლავ ივანოვიჩმა კი „ჩელსის“ გამარჯვება 93-ე წუთზე მოუტანა...

**როსტომ რაჭველიშვილი**







კალათბურთი

# მარკოიშვილი ფინალშია, სანიკიძე უახლოვდება

**მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ თურქეთის ჩემპიონატის ფინალურ სერიაში ითამაშებს. ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც სტამბოლელებმა სტუმრად „პინარ ქარშიაქას“ 79:77 სძლიეს და იზმირელებს ნახევარფინალური სერია 3:0 მოუგეს.**

ქართველმა მცველმა სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 20



წუთში 3 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. საინტერესოა, რომ მანუჩარმა სტუმართაგან პირველმა ჩააგდო, თუმცა მას შემდეგ მონაგარს ვერაფერი შემატა.

მარკოიშვილმა 2-დან 1 სამქულიანი გამოიყენა, ორქულიანი ააცილა და 2 პერსონალური ფოლი მიიღო. სტამბოლელთაგან ყველაზე შედეგიანი ბონიფაცი ნდონგი გახლდათ 23 ქულით და 9 მოხსნით, დალიმ 15 ქულა ჩააგდო, ხოლო არსლანმა და გორდონმა – 13-13.

თურქეთის ჩემპიონატის ფინალში „გალათასარაის“ მეტოქე „ანადოლუ ეფესის“ და „ბანვითის“ სერიაში უმჯობესი იქნება. ამ დაპირისპირებაში ჯერჯერობით საყაიმო ანგარიშია – 1:1.

იტალიის პირველობის ფინალისკენ მორიგი ნაბიჯი გადადგა ვიქტორ სანიკიძის „მონტეპასკიმ“. სიენელებმა „ჩიმბერიო ვარეზესთან“ პირველი საშინაო შეხვედრა ჩაატარეს და 72:59 იმარჯვეს, რისი წყალობითაც ნახევარფინალურ სერიაში 2:1 დაწინაურდნენ.

ლუკა ბანკის შეგირდებმა თამაშის ბედი ფაქტობრივად პირველივე ტაიმში გადაწყვიტეს, რომელიც 42:23 მოიგეს. რაც შეეხება ქართველ ფორვარდს, იგი მწვრთნელმა მხოლოდ 9 წუთს დატვირთა, რა დროშიც ვიქტორს მეტოქის ფარისთვის საერთოდ არ შეუტევია.

სანიკიძეს აქტივში 2 მოხსნა ჰქონდა. მანვე ბურთი 2-ჯერ დაკარგა და 3 პერსონალური ფოლი მიიღო. სიენელთაგან 10-ქულიან ზღვარს მოსმა (17), ბრაუნმა (15), ჰეკეტმა (13) და კანგურმა (10) უწიეს, ავსტრიელ ორტნერს კი ორმაგ დუბლამდე ცოტა დააკლდა – 8 ქულა, 10 მოხსნა.

„მონტეპასკი“ მომდევნო მატჩსაც დღეს შინ ჩაატარებს და გამარჯვების შემთხვევაში ფინალს ძალიან მიუახლოვდება, სულ კი სერიის მოგებისთვის 4 წარმატებული მატჩია საჭირო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

რეაქცია

# კანდიდატთა სია შემცირდა – ჭიდაობა, ბეისბოლი თუ სქვოში?

**უკვე გაუწყეთ, რომ ნევისპირა ქალაქში გამართულ სოკ-ის აღმასკომის სხდომაზე მისმა წევრებმა რეკომენდაცია გაუწიეს სპორტის 3 სახეობას, რათა ბუენოს-აირესის სექტემბრის სესიაზე ერთ-ერთი მათგანი 2020 წლის ოლიმპიადის პროგრამაში დარჩეს.**

**სანქტ-პეტერბურგში მიმდინარე სხდომას ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი ნენად ლალოვიჩიც ესწრებოდა და ინტერნეტსივრცეში მასთან მცირე ინტერვიუც გავრცელდა, რომელიც, ცხადია, წინასწარი კენჭისყრის დასრულების შემდეგაა ჩაწერილი.**

**– გილოცავთ სამ კანდიდატს შორის მოხვედრას.**

– გმადლობთ. უპირველეს ყოვლისა, მინდა მათ გადავუხადო მადლობა, ვინც ფიქრობს, რომ ჭიდაობა ოლიმპიურ პროგრამაში აუცილებლად უნდა იყოს. ჯერ პირველი ბრძოლა მოვიგეთ. წინ კი უფრო მძიმე მეორე რაუნდი გველის. ბეისბოლისა და სქვოშის ფედერაციების თავკაცებმაც უდიდესი შრომა გასწიეს მეორე ეტაპზე მოსახვედრად და ადვილი წარმოსადგენია, როგორ იბრძოლებენ უმთავრესი მიზნისთვის, მაგრამ მინდა მათ ვუთხრა, რომ საბრძოლველად ჩვენც მზად ვართ. ჭიდაობა ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი უმთავრესი სახეობა უნდა გახდეს, სამ თვეში იქნება ეს თუ ათ წელიწადში.



**– ბოლო თვეებში ჭიდაობის წესებში უამრავი ცვლილება განახორციელეთ. სამომავლო სამზადისიც ასეთივე დაძაბული იქნება?**

– შეიძლება სიახლეების შემოტანის ტემპი ისეთი მაღალი აღარ იყოს, მაგრამ უკვე განხორციელებული ცვლილებების დასახვეწად მაინც მძიმე სამუშაოები გველის. საბოლოო არჩევანი ჭიდაობაზე ისე უნდა გაკეთდეს, რომ პატარა კითხვის ნიშანიც კი აღარ არსებობდეს.

**– რატომ დაგჭირდათ ბოლო სამ თვეში ამდენი რამის შეცვლა? თებერვლამდე ხომ თითქმის არც ერთი ღირებული ცვლილება არ განხორციელებულა...**

– ძალიან გამიჭირდება ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. მთავარია, რომ ჩვენ ეს შევძელით. წესების შეცვლა საკმაოდ რთული პროცესია. მოჭიდავეებს, მწვრთნელებსა და მსაჯებს სიახლეებთან შესაჩვევად ალბათ თვეები დასჭირდებათ. ჩვენ საკუთარ შეცდომებზე ვსწავლობთ და ვცდილობთ მხოლოდ წინ ვიაროთ.

**ბეჟან დოლიძე**



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ მინერალური „დესანტი“

# „ბორჯომი“ — პირველი მერცხალი

**მას შემდეგ, რაც ზამთარში რუსეთის მთავარი სანიტარიული ექიმის გენადი ონიშჩენკოს მიერ გამოგზავნილმა წარმომადგენლობითმა დელეგაციამ ქართული ღვინისა და მინერალური წყლების მწარმოებელი ცალკეული კომპანიები მოინახულა და პროდუქციის გამოშვების პროცესს გაეცნო, რუსეთის ბაზარზე სამამულო ფირმების პირველი პარტიები შედის.**

ერთ-ერთი პირველი მერცხალი ამ მხრივ კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველოა“, რომლის პროდუქციის პირველმა პარტიამ უკვე გაიარა სასაზღვრო-საბაჟო შემოწმება და უახლოეს ხანებში რუსეთის სხვადასხვა ქალაქის, ჯერჯერობით, უმთავრესად, მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის, ასევე სანკტ-პეტერბურგის მაღაზიების დახლებზე გამოჩნდება.

ეს არც არის გასაკვირი, რადგან კომპანია „IDS ბორჯომი-საქართველო“ ქვეყნის მინერალური წყლების უაღრესად მრავალფეროვანი ბაზრის აღიარებული ლიდერია, რომლის პოპულარობას შიდა თუ გარე ბაზრებზე




ჩვენში ბადალი არ ჰყავს. მისი პროდუქციის ძირითადი მწარმოებელია ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე მინერალური წყლის საბადოს მახლობლად განთავსებული ბორჯომის № 1 ჩამოსასხმელი ქარხანა. ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში „IDS ბორჯომი-საქართველოს“ პროდუქცია დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს, მისი სამკურნალო თვისებები კი, როგორც ჩანს, საქართველოს ფარგლებს გარეთ გაცილებით უფრო მეტადაა დაფასებული. ამასთან დაკავშირებით ერთი მაგალითის გახსენება მინდა: მოსკოვში პირველად რომ ჩავედი, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ვიყავი, პარალელურად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე ნორჩი ფიზიკოსის სკოლაში ვსწავლობდი, მოსკოვის უნივერსიტეტში გამართულ ოლიმპიადაზეც იქიდან მოვხვდი. ჰოდა, ერთხელაც, ერთ-ერთ კაფეში „ბორჯომის“ მინერალური წყალი რომ მოვითხოვეთ, გაკვირვებულმა ოფიციანტმა გვითხრა: „ბიჭებო, მისამართი შეგეშალათ, „ბორჯომს“... აფთიაქში უნდა მიაკითხოთ“. სადღეისოდ კი „IDS ბორჯომი-საქართველო“ თავად „ბორჯომის“ გარდა, ასევე „ბორჯომის წყაროებს“, „ბაკურიანსა“ და „ლიკანს“ უშვებს. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამჟამად „ბორჯომის“ ბრენდი სხვადასხვა მასშტაბით მსოფლიოს დაახლოებით 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „IDS ბორჯომი-საქართველოს“ გამოშვებული მინერალური წყლის პირველმა პარტიამ ახლახან ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე გადაკვეთა რუსეთის საზღვარი, გაიარა სათანადო სანიტარიული კონტროლი და უახლოეს დროში ქვეყნის ტერიტორიაზე მისი რეალიზება დაიწყება. „ბორჯომის“ პროდუქციის დისტრიბუციას „IDS ბორჯომი-რაშა“ განახორციელებს, რომლის წარმომადგენლებმა საცალო სავაჭრო ქსელებთან შესაბამისი ხელშეკრულებები უკვე გააფორმეს. ამდენად, ივნისის დამდეგს „ბორჯომის“ პირველი პარტიები უკვე მაღაზიების თაროებზე გაჩნდება და მისი შეძენა ყველა მსურველს შეეძლება.

უნდა ითქვას ისიც, რომ თავად „ბორჯომი“ საერთაშორისო ბრენდია: საქმე ისაა, რომ ფირმა „IDS ბორჯომი-საქართველო“ საერთაშორისო კომპანია „IDS ბორჯომი-ინტერნეიშნელის“ შვილეული კომპანიაა, რომელიც, თავის მხრივ, ნატურალური მინერალური წყლების ერთ-ერთი დიდი მწარმოებელია ევროპაში. აღსანიშნავია ისიც, რომ პროდუქციის წარმოების მაჩვენებლით, კერძოდ, ნატურალური მინერალური წყლების სეგმენტში, „IDS ბორჯომი-ინტერნეიშნელი“ პოსტსაბჭოთა სივრცის ყველაზე დიდი კომპანიაა.

**ოთარ ტურაბელიძე**

ხელოვნება

# შოთა ბოსტანაშვილი



## კვალი ნათელი

ძნელია შევეგუოთ აზრს, რომ აღარ არის შოთა ბოსტანაშვილი, უაღრესად ნიჭიერი, გონიერი, ენერგიული და კეთილშობილი ადამიანი, მაღალი დონის პრაქტიკოსი არქიტექტორი, მეცნიერი, მკვლევარი, პუბლიცისტი და პედაგოგი. შოთა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გახდა გამორჩეული. მისმა სადიპლომო ნაშრომმა საკავშირო კონკურსის ლაურეატის დიპლომი დაიმსახურა, შემდეგ წლებში საუკეთესო პროექტისა და რეალიზაციის საკავშირო კონკურსშიც რამდენჯერმე გაიმარჯვა...

დაიბადა 1948 წ. 13 მაისს ქ.თბილისში. 1972 წელს დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი არქიტექტურის სპეციალობით. საპროექტო ორგანიზაციაში მიღებული პრაქტიკული გამოცდილების შემდეგ, 1978 წლიდან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა და თითქმის ოთხი ათეული წელი უანგაროდ, უშურველად მიუძღვნა ქართულ არქიტექტურას, ახალგაზრდა არქიტექტორთა აღზრდას. 1990 წელს დააარსა სტუდია-სახელოსნო და საგანი „არქიტექტურული პოეტიკა“. სტუდიაში მიღებულმა სრულიად არაორდინალურმა ცოდნამ კომპოზიციაში, კოლორისტიკაში, ზოგადესთეტიკურ საკითხებში, მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია ახალგაზრდების მხატვრულ აზროვნებას.

შოთა გახლდათ ფართო ერუდიციის პიროვნება, რომლის ინტერესების სფეროში არქიტექტურის გარდა მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პოეზიას, ლიტერატურას, რელიგიას, ესთეტიკას. მის ინტერესებში მოექცა ასევე კულტურული მემკვიდრეობის პრობლემატიკა, რასაც მიუძღვნა სოლიდური, ორიგინალური ნაშრომი. აქტიურად თანამშრომლობდა შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტთან, არა ერთ ქართულ ლიტერატურულ ჟურნალთან, მათ შორის „ქართულ მწერლობასთან“. გამოცემული აქვს პოეტური კრებული „ოთხი ლაპარაკი“. მისი წიგნი „ბუცა“ 2012 წელს დაჯილდოვდა არქიტექტორთა საერთაშორისო ტრიენალეს ვერცხლის მედლით. ყოველივე ამის მიღმა იყო დიდი შრომა, გულმოდგინება, ძიება, მძაფრი ემოციები.

თუ მის შემოქმედებას, რთულსა და შრომატევადს თვალს გადავავლებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ის არა მარტო პირნათლად ასრულებდა თავის მისიას, არა მარტო ზედმიწევნით გრძნობდა თავის პროფესიას, არამედ ამდიდრებდა კიდეც მას, თავისი ინდივიდუალობით, შესანიშნავი თვისებებით, ნებისყოფით, სულიერებით. ეს თვისებები კი შერწყმული ჰქონდა გემოვნებასთან, საოცრად გრძნობდა სახიერების საიდუმლოებებს.

შოთა ბოსტანაშვილი მრავალი არქიტექტურული პროექტის და რეალიზაციის ავტორია. მათ შორის აღსანიშნავია: ხევსურეთის სოფლები ხახმატი და ბისო; კულტურის სასახლე ქ. ფოთში, ბავშვთა ქალაქი მალთაყვის ტყეპარკში, „იერუსალიმის სახლი“ ქ.თბილისში, თონეთის მოედანზე; „ხსოვნის ტაძარი“ სოფ. მუხრანთან; „ხსოვნის კუბი“ ქ. სენაკში; მემორიალი „დიდება შრომას“ ქ. ქუთაისში; ონის სინაგოგის რესტავრაცია; ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში; სასტუმრო „შარდენი“ ძველ თბილისში; „პოეზიის სასახლე“ ქ.თბილისში და სხვა. პრემირებულია მისი არა ერთი საკონკურსო პროექტი: მარჯანიშვილის თეატრი, საერთაშორისო კონკურსი „XXI საუკუნის ცივილიზაციის სივრცე“ (ვენეცია) ; საზოგადოებრივი ცენტრი რუსთაველის პროსპექტზე, წმინდა სამების საკათედრო ტაძარი, „9 აპრილის მსხვერპლთა მემორიალი“ და სხვა. მკვეთრად იცავდა თავისი ინდივიდუალური შემოქმედების საზღვრებს, ყველგან და ყოველთვის იმსახურებდა მაღალ შეფასებას.

და მაინც, როგორი იყო შოთა ბოსტანაშვილი? ზოგისათვის - სიკეთით სავსე, მუდამ ჩაფიქრებული, ერთთავად საქმით დაკავებული. სხვებისათვის - არაორდინალური, თავისთავადი და ფანატიკოსი მოღვაწე. ყველას საკუთარი წარმოდგენა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ ერთი ცხადია, რომ ის იყო ადამიანი, რომელიც მალავდა ტკივილს, მალავდა პრობლემებს, გულუხვად გასცემდა სიყვარულს იმ ადამიანების მიმართ, ვისთანაც მეგობრობდა, ეს წრე კი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო. არ აკლდა ჯილდოები, დაფასება: იყო არქიტექტორთა საერთაშორისო აკადემიის წევრი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი.

მისი სიკვდილი დასასრულია ამქვეყნიური ცხოვრებისა და დასაწყისი ახალი სამარადისო სიცოცხლისა.

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის პროფესორები: გოჩა მიქიაშვილი, ვახტანგ დავითაია, ელენე კალანდაძე, ნინო იმნაძე, გიული გეგელია, თენგიზ გოგოლაშვილი, ზურაბ სუჯაშვილი, ნანული თევზაძე,ლევან ბერიძე, ალეკო კორკოტაშვილი, მზია მილაშვილი, პავლე ძინძიბაძე, თამარ ჭანტურია, ნიკა შავიშვილი, გია შაიშმელაშვილი.**

ეპიტაფია

# ყველას მეგობარი

## ჯემალ მსხილაძის გარდაცვალების გამო

*„სიკვდილო, კარგის მოკვლისთვის, ნეტავ ვინ გეტყვის ძებასა“ (ხალხური)*

მოულოდნელად გამოგვეცალა ჩვენი სამეგობროს გამორჩეული წევრი, კეთილაღნაგი და ზნეკეთილი პიროვნება, ნიჭიერებითა და კაცთა ერთგულებით დაღდასმული, დაუვიწყარი **ჯემალ მსხილაძე**.

ძნელია ჯემალზე წარსულ დროში საუბარი, მაგრამ განგების ნებას ვინ გადავა! ამ ოთხი ათეული წლის წინ გამოჩნდა პირველად „კოსტავას ეზოში“, იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში ჩააბარა მისაღები გამოცდები და დიდი სამეცნიერო კოლექტივის წევრად იქცა. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი ინსტიტუტის კოლექტივის უცვლელი წევრი კი არა შეუცვლელი წევრი იყო. იგი იყო ყველა საინსტიტუტო საქმის აქტიური მონაწილე, ხშირად კი ორგანიზატორიც. არაერთი რესპუბლიკური თუ საკავშირო სამეცნიერო კონფერენციის მონაწილე...

სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად, აწ განსვენებული აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. უიმისოდ ლაზათი ეკარგებოდა ყველა ერთობლივ კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებასა თუ ლხინსა და პურობას, რაც იშვიათი როდი იყო ჩვენს საძმოში. ჯემალი ყველას მეგობარი იყო, ყველას უნდოდა მასთან ყოფნა და ამიტომაც საინსტიტუტო ღონისძიებების ფორმალური თუ არაფორმალური ორგანიზატორი თვითონ იყო ხოლმე.



ადამიანურ თვისებათა შორის ჯემალ მსხილაძეს გამორჩეულად ახასიათებდა მოყვასისადმი ერთგულება და გულისხმიერება. მისი იმედი ჰქონდათ თანამშრომლებსაც და შემთხვევით გაცნობილებსაც, რადგან იგი არავისთვის იშურებდა იმ სიკეთეს, რომელიც უხვად მოემადლებინა მისთვის განგებას. იგი მუდამ სხვათათვის სიკეთის ქმნაზე იყო გადაგებული, საკუთარი თავისადმი ყურადღებას კი იშურებდა, ამიტომაც ვერ მოახერხა ღვთის მიერ მისთვის ბოძებული მაღალნიჭიერების სრულყოფილი რეალიზაცია პედაგოგიკის მეცნიერებაში. სამეგიეროდ თავისი ცხოვრებით იგი განასახიერებდა იმ იდეალებს, რაც კაცურკაცობისათვის დაუწესებიათ სულმნათ წინაპრებს: ჯემალი იყო შესანიშნავი მეოჯახე, სამაგალითო მეუღლე, მოსიყვარულე და დღენიადაგ მზრუნველი მამა და ბაბუა, გულანთებული მამულიშვილი და მოქალაქე.

გულის ცრემლებით ვეთხოვებით ძვირფას მეგობარს. დაე, მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა და სასუფეველი დაუმკვიდროს მას განგებამ.

**იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტი**

ვახტანგ დავითაია, გიული გეგელია, თენგიზ გოგოლაშვილი იუწყებიან უახლოესი მეგობრის, გამოჩენილი არქიტექტორის

**შოთა ბოსტანაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

---

დიდი გულისტკივილით ვიუწყებით პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების ღირსეული წარმომადგენლის, საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატის, 1992 წლიდან სამშობლოდან დევნილი

**ვიქტორ დომუხოვსკის**

გარდაცვალებას და თანაგრძნობას ვუცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებსა და ახლობლებს.

საქართველოს ეროვნული ლიბერალური კავშირი.

◉ ინფორმაცია

### ოთხი ხანდაზმული მსჯავრდებული გათავისუფლებულია

ერთობლივი კომისიის გადაწყვეტილებით, რომელიც ჯანდაცვისა და სასჯელაღსრულების სამინისტროების მიერ არის შექმნილი, სასჯელისგან ოთხი მსჯავრდებული გათავისუფლდა.

გათავისუფლებულთაგან ოთხივე ქალია და მათი ასაკი 66, 67, 68 და 75 წელია. ყველა მათგანმა სასჯელის ნახევარი უკვე მოიხადა.



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com

◉ დღესასწაული

# „მოდიოდა ნინო მთებით, მოდიოდა...“



**1 ივნისს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია ნინოობას დღესასწაულობს.**

**...ქრისტეს ჯვარცმაზე, ქრისტეს აღდგომასა და მის სამოსელზე, ხშირად ისმენდა ამბებს პატარობისას ნინო.**

**კაბადოკიელ ქალწულს გულში ჩაესახა სურვილი, ეპოვა უფლის კვართი და თაყვანი ეცა მისთვის. ის დაუღალავად შესთხოვდა ღვთისმშობელს აესრულებინა მისი სურვილი.**

ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა შეისმინა თავისი მხევლის ლოცვა, სიზმრად ეჩვენა მას და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ ივერთა ქვეყანას და იქ სახარება ძისა ჩემისა იესო ქრისტესი იქადაგე, და ვიქნები შენი მფარველი და შემწე“.

..და, აი, ჯვრით ხელში მოადგა ნეტარი ქალწული ჯავახეთის მთებს.

ზაფხული იყო, მაგრამ მთებზე ჯერ კიდევ თოვლი იდო. ქართველთა განმანათლებელმა ნინომ ლოცვა აღავლინა, ორი დღე დაჰყო ფარავნის ტბასთან, საზრდო მიიღო მეთევზეთაგან. ამით მას ძალა მიეცა და მენახირეებს სადაურობა ჰკითხა. მწყემსებმა უპასუხეს, დიდი ქალაქის, მცხეთის მკვიდრი ვართო.

მოციქულთა სწორს — ნინოს მეჯოგეებმა მცხეთის გზა მიასწავლეს და ისიც გაემართა დასავლეთის მიმართულებით.

ნეტარმა ქალწულმა ძალიან მძიმე გზებით იარა, ძლივს გადაურჩა მხეცებს; ის მხოლოდ ლოცვაში ჰპოვებდა შვებას...

დღესასწაულისთვის მენახირეები და მგზავრები მცხეთისკენ გაეშურნენ, იმ დღეს ისინი არმაზს სცემდნენ თაყვანს, მათ გაჰყვა ნინო ქალწულ-განმანათლებელი.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი ილია II ბრძანებს თავის ერთ-ერთ ქადაგებაში, რომ წმინდა ნინო არის საქართველოს მფარველი, ჩვენი ერის განმანათლებელი...

...წმინდა „ნინოს ცხოვრების“ 5 რედაქცია არსებობს, ეს იმას მოწმობს რომ ქართლის მოქცევის ისტორია ქართველებს ძველთაგანვე აინტერესებდათ.

**გიული ლიპარტია**

◉ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე

# ლექსით გამოთქმული სიხარული



**ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მე-3ნ კლასის მოსწავლეებმა თავიანთი დამრიგებლის, გამოცდილი პედაგოგის მზია ჯაფიაშვილის ხელმძღვანელობით კოსტიუმირებული წარმოდგენა გამართეს.**

მშობლების, ბებია-ბაბუების, ახლობელ-ნათესავებისა და თანატოლების წინაშე მესამეკლასელები პატარ-პატარა სკეტჩებით, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტებით, იაკობ გოგებაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის ლექსებით წარსდგნენ. წარმოდგენამ დიდი სიხარული მოუტანა როგორც დარბაზში დამსწრეთ, ასევე მის მონაწილეებსაც.



აღნიშნულის გარდა თბილისსა და საქართველოს ყველა კუთხეში ამ დღისადმი მიძღვნილი უამრავი სადღესასწაულო ღონისძიება გაიმართა.

**ნინო ალექსანდრია**

**ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.**

◉ ჩვენი პრესდაიჯესტი

# ჟურნალ-გაზეთებიდან



### „ეს ძალიან დიდი ხიფათის შემცველია ქვეყნისთვის“

საზოგადოების დიდმა ნაწილმა არ იცის, რომ ფონიჭალაში მეჩეთი შენდება. ეს თემა დღემდე გაუხმაურებელია. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე ამბობს, რომ ამ ამბავს აქვს პრეისტორია. ჯერ კიდევ 1990-იან წლებში რუსეთის ხელისუფლებამ გზა გაუხსნა სხვადასხვა ისლამისტურ ჯგუფებს, რომლებმაც თანდათან მოიკიდს ფეხი ქვემო ქართლში...

მეჩეთი ჯერ დასრულებული არ არის, აყვანილია კედლები, გაკეთებულია გუმბათი... მე, საერთოდ, მეჩეთის აშენების წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ ამ შემთხვევაში საფრთხის მატარებელია ის სავარაუდო დაპირისპირება, რომელსაც ადგილობრივ შიიტებსა და ვაჰაბისტებს შორის შეიძლება მოჰყვეს ჩვენს ტერიტორიაზე.

**„ალია“**

### საბჭოეთის დროინდელი საზღვრების აღდგენა თუ სტრატეგიული სიმაღლეების დაკავება?

რუსები, საბჭოთა პერიოდის რუკის მიხედვით, სამხრეთ ოსეთის იმ საზღვრებში მოქცევას ცდილობენ, რომელიც რეგიონს მაშინ ჰქონდა — ასე ფასდება რუსეთის ქმედება სოფელ დიცთან საზღვრის გადაწევასთან დაკავშირებით. თუმცა, პოლიტოლოგები, რომელთაც „რეზონანსი“ ესაუბრა, სხვა ვერსიასაც განიხილავენ. „მათ უნდათ, დააფიქსირონ, რომ თუ საქართველო თავის საგარეო პოლიტიკას არ შეცვლის, მაშინ ე. წ. გეოპოლიტიკური რეალობა, რაც არსებობს, არ შეიცვლება.

**„რეზონანსი“**

### „ბურჯანაძე დასავლეთთან და რუსეთთანაც მოახერხებს ლაპარაკს“

— მიაჩნია ევრაზიის ინსტიტუტის ექსპერტ ნანა დევდარიანს, — ნინოს ძალიან სერიოზული შანსი აქვს. მარგველაშვილი ნამდვილად არ არის ცუდი ადამიანი და ცუდი პიროვნება, მაგრამ ის სულ ახალი მოსულია პოლიტიკაში და ის, რაც ბურჯანაძემ უკვე გაიარა, ისწავლა და ბევრი რამ მწარედაც იწვნია, მას ეს ყველაფერი წინ აქვს. წლები დასჭირდება იმას, რომ მან თავისი პირადი კონტაქტები შექმნას, ურთიერთობები დაამყაროს, ნდობა მოიპოვოს... ჩვენ გვინდა ისეთი პრეზიდენტი, რომელიც თანმიმდევრულად მოახერხებს ლაპარაკს, როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან. ასეთი კი ნინო ბურჯანაძეა.

**„ახალი თაობა“**

### „ეროვნული გამოცდები აღარ გაუქმდება“

— აცხადებს „გამოცდების ეროვნული ცენტრის“ დირექტორი მაია მიმინოშვილი: — წელს აბიტურიენტებს ფაკულტეტებისა და სასწავლებლების არჩევის საშუალება გამოცდილების შედეგების გამოქვეყნების შემდეგაც ექნებათ და ყველა ფაკულტეტზე დაფინანსების ერთნაირი პრინციპი იმოქმედებს. აქამდე იყო ფაკულტეტები, სადაც აბიტურიენტი დაფინანსებას მიიღებდა, თუ 100-პროცენტიან გრანტს მოიპოვებდა, ახლა კი, მიმართულებაზე იქნება თანადაფინანსების პრინციპი: 50, 70, 100-პროცენტიანი მიმართულების მიხედვით განსაკუთრებული ბარიერები აღარ იარსებებს.

**„ვერსია“**

◉ კადრი



◉ ცინცხალი ანეკდოტები

**გარდაიცვალა ტიპი და მოხვდა ზეციურ სასუფეველში.**

**— ცხოვრებაში რამდენჯერ უღალატე ცოლს? — ეკითხება ღმერთი.**

**— არც ერთხელ!**

**— აი, შენ „მერსედესი“ და ისეირნე სამოთხეში.**

**მეორე ტიპიც მოხვდა სასუფეველში.**

**— რამდენჯერ უღალატე ცოლს? — ეკითხება ღმერთი.**

**— მაქსიმუმ ორ-სამჯერ.**

**— აი, შენ ველოსიპედი და ისეირნე სამოთხეში.**

**მესამე ტიპიც მოხვდა სამოთხეში.**

**— რამდენჯერ უღალატე ცოლს?**

**— კვირაში ორ-სამჯერ.**

**— აი, შენ გორგოლაჭებიანი საგორავი და ამით იარე სამოთხეში.**



**დაქანაობს ტიპი გორგოლაჭებით. ხედავს, რომ გზის პირას ზის „მერსედესიანი“ კაცი და ქვითინებს.**

**— რა გატირებს? — უკვირს გორგოლაჭიანს. ჩვენში ყველაზე უკეთეს პირობებში შენა ხარ, „მერსედესით“ დაქრიხარ, მე კი გორგოლაჭებით დავეთრევი.**

**— რა მატირებს და, დავდივარ „მერსედესით“ სამოთხეში და გორგოლაჭებზე ამხედრებული ჩემი ცოლი არ შემომხვდა?**

* * *

**— ალო, თუ შეიძლება ნატაშას სთხოვეთ! — ისმის ყურმილში მამაკაცის სასიამოვნო ხმა.**

**— ნატაშა სახლში არ არის, თქვენ კი გელაპარაკებათ მისი ცისფერთვალება, ლამაზი და გრძელფეხებიანი და ნასტია.**

* * *

**— რომ იცოდეთ, რა მადლობელი ვარ პეტკასი, იმისთვის, რომ სტიოპას დავიწყებაში დამეხმარა, — ეუბნება სვეტა დაქალს.**

**— ვინ იყო სტიოპა?**

**— ის, ვინც ვასკას დავიწყებაში დამეხმარა.**

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24



PDF created with pdfFactory Pro trial version www.pdffactory.com